TRC GCSD

უცხოელი ტერორისტი მებრძოლების გავლენა ჩრდილო კავკასიის რეგიონის რადიკალიზაციაზე

უცხოელი ტერორისტი მებრძოლების გავლენა ჩრდილო კავკასიის რეგიონის რადიკალიზაციაზე

ავტორი: რატი კობახიძე

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD) არასამეწარმეო, არასამთავრობო ორგანიზაციაა. ჩვენი ძირითად მიზნებია: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ქვეყნის ეფექტიანი და დემოკრატიული მართვის პრინციპების განმტკიცება და ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობების შექმნა. მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენი საქმიანობა მოიცავს: კვლევას, მონიტორინგს, ადვოკატირებასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას. ჩვენი ღირებულებები ეფუძნება თანასწორობის, ადამიანის თავისუფლების, პატივისცემის, ანგარიშვალდებულების და გამჭირვალობის პრინციპებს.

GCSD-სთან არსებული ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC) არის პირველი ქართული ორგანიზაცია, რომლის მიზანია ტერორიზმის, რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევა და ამ ფენომენებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში არსებული ცოდნის ნაკლებობის შევსება. ცენტრი საკუთარ მისიად მოიაზრებს შექმნას იმ ტიპის პროდუქტები, რომელიც სამომავლოდ საქართველოში ხსენებული საკითხების უფრო სიღრმისეულ კვლევას შეუწყობს ხელს, ასევე დაეხმარება ამ საკითხების მოქმედ მკვლევარებსა და ამ მიმართულებით მომუშავე პრაქტიკოსებს.

წინამდებარე კვლევაში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის ან ტერორიზმის კვლევითი ცენტრის პოზიციას. ცენტრის წერილობითი თანხმობის გარეშე დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

სარჩევი

აბსტრაქტი 2
შესავალი 3
კვლევის აქტუალობა და მნიშვნელობა 5
კვლევის მეთოდოლოგია 7
ლიტერატურის მიმოხილვა 8
ისტორიული და კულტურული კონტექსტი 11
უცხოელი ტერორისტი მებრძოლები ჩეჩნეთში 20
ჩეჩნები უცხოეთში - ISIS-ის გამოჩენა 25
ტერორიზმი ჩრდილოეთ კავკასიაში და საქართველო 31
დასკვნა 34

გამოყენებული შემოკლებები და ტერმინოლოგია

ISIS – „ერაყისა და სირიის ისლამური სახელმწიფო“, იგივე „დაეში“.

FTF - უცხოელი ტერორისტი მებრძოლი (ამავე მნიშვნელობის კვლევაში გამოყენებულია ტერმინი „უცხოელი მებრძოლი“)

UNODC - გაეროს ნარკოტიკებისა და კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი (United Nations Office on Drugs and Criminal)

სალაფიზმი - ისლამის ფუნდამენტალისტური მიმართულება, რომელიც ისლამური „უმმას“ გადარჩენისთვის მის საწყისებთან დაბრუნებას აუცილებლობად მიიჩნევს.

ვაჰაბიზმი - არაბეთის ნახევარკუნძულზე ჩასახული ფუნდამენტალისტური, სალაფიტური მიმდინარეობა. ისინი მისდევენ კონკრეტულად იბნ ვაჰაბის სწავლებას.

<u>შენიშვნა:</u> სალაფიზმი და ვაჰაბიზმი ერთმანეთისგან გარკვეულწილ განსხვავებული მიმდინარეობაა, თუმცა ჩრდილოეთ კავკასიასთან მიმართებით ამ ორს ხშირად ერთ კონტექსტში, ურთიერთჩამნაცვლებელი მნიშვნელობით იყენებენ.

აბსტრაქტი

კავკასიის რეგიონში ტერორიზმი ახალი ფენომენი არ არის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აქ განვითარებულმა პოლიტიკურმა და სოციალურმა პროცესებმა რადიკალური იდეოლოგიისა და ტერორისტული პრაქტიკის გავრცელებისთვის შესაბამისი გარემო შექმნა. ტერორიზმის კვლევებისთვის განსაკუთრებით საინტერესო ფენომენი უცხოელი ტერორისტი მებრძოლების (FTF) ჩეჩნეთის წინააღმდეგობის მოძრაობაზე გავლენის შესწავლაა.

წარმოდგენილი კვლევა, მეორადი და მესამეული წყაროების ანალიზის გამოყენების გზით, აღწერს უცხოელი ტერორისტი მებრძოლების ჩეჩნეთში მოღვაწეობას, მათ იდეოლოგიურ გავლენას და ამის შედეგად, ადგილობრივი მოძრაობის გლობალურ ჯიჰადში ჩართვას. ამასთანავე, კვლევა გადმოსცემს, თუ როგორ შეუწყო ხელი ამ იდეოლოგიურმა ზეგავლენამ ჩეჩენი მებრძოლების გლობალური ჯიჰადის სხვადასხვა არეალებზე გამოჩენას.

კვლევა წარმოაჩენს, რომ ჯიჰადისტური იდეოლოგიის მიღება ჩეჩნეთის წინააღმდეგობის მოძრაობის გადარჩენის მიზნით მოხდა, თუმცა, საბოლოო ჯამში, ამან ადგილობრივი დაჯგუფების დასუსტება და ჩეჩენი ტერორისტების ჯიჰადის სხვა ფრონტებზე გადინება გამოიწვია.

კვლევაში, ასევე განხილულია ის საფრთხეები, რაც ჩრდილოეთ კავკასიური ტერორიზმიდან საქართველოსთვის მომდინარეობს.

შესავალი

მე-19 საუკუნის პირველი პერიოდიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ კავკასიაში თავისი პოზიციების გამყარება დაიწყო, ჩრდილოეთ კავკასია, განსაკუთრებით კი ჩეჩნეთი, მისი ერთ-ერთი მთავარი თავის ტკივილი გახდა. რეგიონის დასამორჩილებლად მას მრავალწლიანი ომი და დიდი სამხედრო რესურსი დასჭირდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, მას შემდეგ, რაც ჩეჩნეთმა რუსეთის ფედერაციისგან დამოუკიდებლობის სურვილი გამოთქვა, ჩრდილოეთ კავკასია კვლავ პრობლემურ რეგიონად იქცა. აქ რუსეთს ერთი დეკადის განმავლობაში ორი ომის, შემდგომ კი მრავალწლიანი კონტრტერორისტული პოლიტიკის წარმოება მოუწია.

ჩეჩნეთის მოვლენებზე დაკვირვება არაერთი საინტერესო კუთხითაა შესაძლებელი. ეს კონფლიქტი მოიცავს - წარმატებულ ომს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ; წარუმატებელ სახელმწიფო პროექტს; წინააღმდეგობის მოძრაობის შიგნით ნაციონალისტური და ისლამისტური ფრთების დაპირისპირებას; წინააღმდეგობის ზოგიერთი წევრის მიერ ტერორისტული ტაქტიკის ათვისებას.

ამ ყველაფერთან ერთად, განსაკუთრებით საინტერესო და ტერორიზმის კვლევებისთვის მნიშვნელოვანია უცხოელი ტერორისტი მებრძოლების (FTF) კონფლიქტში ჩართულობა, მათი წინააღმდეგობის მოძრაობაზე გავლენა და ამ გავლენების შედეგები. წინამდებარე ნაშრომის მიზანი სწორედ ამ კონკრეტული საკითხის შესწავლაა.

თავდაპირველად, ჩეჩნეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც „იჩხერიის რესპუბლიკის“ სახელითაა ცნობილი, სეკულარულ პროექტად იყო ჩაფიქრებული. თუმცა, თავიდანვე, მოსახლეობის მამობილიზებელ ძალად ადგილობრივი რელიგია - ისლამიც გამოიყენებოდა. ამასთან ერთად, ჩანასახშივე ცხადი იყო დაპირისპირება სეკულარისტულ და რელიგიურ ჯგუფებს შორის. თანდათანობით, განსაკუთრებით კი სწორედ უცხოელი მებრძოლების ზეგავლენით, ისლამისტურმა ნარატივებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა და 2000-იანების დასაწყისში ჩეჩნეთის წინააღმდეგობის დიდი ნაწილი გლობალურ ჯიჰადს შეუერთდა, ჩამოყალიბდა რა „კავკასიის საამირო“. მოგვიანებით, ISIS-ის აღზევების პარალელურად, არაერთმა ჩეჩენმა დატოვა ჩრდილოეთ კავკასია, რათა მონაწილეობა მიეღო „ისლამური სახელმწიფოს“ ბრძოლაში სირიასა და ერაყის ტერიტორიაზე.

კვლევა შეეცდება აღწეროს კავშირი კონფლიქტის ადრეულ ეტაპზე უცხოელი მებრძოლების წინააღმდეგობის მოძრაობაზე გავლენასა და მოგვიანებით, ჩეჩენი მებრძოლების ISIS-ში ჩართულობას შორის.

ამისათვის ნაშრომი თავდაპირველად მიმოიხილავს უცხოელ მებრძოლებთან დაკავშირებით არსებულ სხვადასხვა წარმოდგენებსა და შეხედულებებს. ამის შემდგომ, წარმოდგენილი იქნება ჩეჩნეთის კონფლიქტის ისტორიული და კულტურული კონტექსტი, რის შემდეგაც განიხილება უცხოელი მებრძოლების ჩართულობა, მათი სტრატეგია, მიზნები და წინააღმდეგობის მოძრაობაზე იდეოლოგიური გავლენა. ამის ფონზე კი აღწერილი იქნება ის პროცესი, თუ როგორ ჩაერთო ჩეჩნეთის წინააღმდეგობის მოძრაობა გლობალურ ჯიჰადში და როგორ წარმოიშვა „კავკასიის საამირო“. კვლევის საბოლოო ნაწილში კი „ისლამურ სახელმწიფოსა“ და ჩეჩენ ტერორისტებს შორის არსებული კავშირები განიხილება.

კვლევის აქტუალობა და მნიშვნელობა

ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორიზმი ახალი პრობლემა არაა. იგი უკვე ათწლეულების განმავლობაში რეგიონის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. საქართველოს კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა ჩრდილოეთ კავკასიიდან ტერორიზმის ე.წ. "Spill Over". უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე არაერთი კონტრტერორისტული ოპერაცია განხორციელდა. ამ კვლევაზე მუშაობის პერიოდში, ყველაზე უკანასკნელი, საჯაროდ ცნობილი ოპერაცია პანკისის რეგიონში ჩატარდა, სადაც 5 ადამიანი ISIS-თან კავშირის ბრალდებით დააკავეს.[1] ამასთანავე, ცნობილია, რომ „ისლამური სახელმწიფოს" ძლიერების პერიოდში, არაერთი პანკისის ხეობაში მცხოვრები ადამიანი გაწევრიანდა მასში. მეოცე საუკუნის 90-იანი წლების ბოლოსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში პანკისში ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივების გავრცელება სწორედ ჩრდილოეთ კავკასიიდან ხდებოდა. შესაბამისად, ნათელია, რომ საქართველოს აკადემიურ სივრცეში ჩრდილოეთ კავკასიური ფუნდამენტალიზმის და ტერორისტული დოქტრინის ანატომიის შესწავლა განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა იმსახურებდეს.

ამასთან ერთად, ჩრდილოეთ კავკასია საქართველოს უშუალო მეზობელია. ამ რეგიონის მიმართ საქართველოს გააზრებული, წინასწარგანსაზღვრული, გრძელვადიანი სტრატეგია უნდა ჰქონდეს. ამ საუკუნის პირველი დეკადის ბოლოსკენ საქართველოს ხელისუფლებას ჰქონდა მცდელობა შეექმნა ასეთი მიდგომა ჩრდილო კავკასიური ფედერაციული ერთეულებისადმი, თუმცა ბევრის მხრიდან, მათ შორის დასავლეთისგან, ეს ქმედებები არასწორად იქნა აღქმული, რადგან, გია ნოდიას მოსაზრებით, ისინი მეტწილად მოქცეულნი არიან ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესების რუსული ინტერპრეტაციის გავლენის ქვეშ.[2]

საქართველოს ამ რეგიონისადმი სწორი, მრავალკუთხოვანი სტრატეგიის შემუშავება და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დასავლელ პარტნიორებთან სწორი კომუნიკაცია სჭირდება. ეს კი აქ არსებული მთავარი პოლიტიკური და სოციალური პროცესების სიღრმისეულ ცოდნას მოითხოვს. მითუმეტეს, რომ ჩრდილო კავკასიისადმი გარკვეული პოლიტიკის შემუშავება საქართველო-

[1] "სუს-ის თანახმად, პანკისში დაკავებულები „ისლამურ სახელმწიფოში" გაწევრიანდნენ და სირიაში გამგზავრებას გეგმავდნენ," რადიო თავისუფლება, accessed September 18, 2021, https://www.radiotavisupleba.ge/a/31425780.html.
[2] Ghia Nodia, "What Is Georgia's Strategy In The North Caucasus?," Radio Free Europe/Radio Liberty, 11:34:19Z, sec. Commentary, https://www.rferl.org/a/What_Is_Georgias_Strategy_In_The_North_Caucasus/2208382.html.

რუსეთის ურთიერთობებზეც აუცილებლად აისახება. ფუნდამენტალისტური იდეოლოგიის გავრცელება, ტერორიზმი, გლობალური ჯიჰადი და ამ ყველაფერზე რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების რეაგირება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული საკითხებია, რომლებიც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული აღნიშნული რეგიონისადმი საქართველოს პოლიტიკის შესამუშავებლად. შესაბამისად, ამ მიმართულებით განხორციელებული ნებისმიერი აღწერითი თუ ანალიტიკური კვლევა აქტუალური და საინტერესო უნდა იყოს ქართველი მკითხველისთვის.

კვლევის მეთოდოლოგია

ჩეჩნეთში უცხოელი ტერორისტი მებრძოლების გავლენისა და თავად ჩეჩნების უცხოელ მებრძოლებად გარდაქმნის პროცესების აღსაწერად კვლევა სამაგიდო კვლევის მეთოდს იყენებს - მეორეული და მესამეული წყაროების სისტემურ მიმოხილვას, ასევე რამდენიმე ინტერვიუს კონტენტ-ანალიზს. გამოყენებულია ორი ძირითადი ტიპის ლიტერატურა, რომელიც როგორც მონოგრაფიას, ასევე აკადემიურ სტატიებს მოიცავს. პირველი მათგანი უკავშირდება იმ ისტორიულ და კულტურულ კონტექსტს, რომელშიც ჩეჩნეთის წინააღმდეგობის მოძრაობა ჩაისახა. ასევე, ამავე ტიპის ლიტერატურის მიმოხილვა ნათელს ჰფენს იმ გარდაქმნის პროცესსა და მიზეზებს, რაც აჯანყებამ განიცადა. კერძოდ, მისი გარდაქმნა სეპარატისტულიდან ჯიჰადისტურ მოძრაობამდე. ლიტერატურის მეორე ნაწილი უკავშირდება უშუალოდ უცხოელი ტერორისტი მებრძოლების საკითხს. აქ შეიძლება გამოიყოს ორი ქვეკატეგორია - უცხოელი ტერორისტი მებრძოლები ჩეჩნეთში და ჩეჩნები, როგორც უცხოელი ტერორისტი მებრძოლები სირიასა და ერაყში. ამ ტიპის ლიტერატურის მიმოხილვის მიზანი უცხოელი მებრძოლებისა და აქტივისტების ჩეჩნეთის წინააღმდეგობის მოძრაობაზე გავლენის შესწავლა და ამ გავლენის შედეგედ, მოგვიანებით, თავად ჩეჩნების უცხო ქვეყანაში მიმდინარე კოფლიქტში ჩართვასთან კავშირის აღწერაა.

ლიტერატურის მიმოხილვა

„უცხოელი მეომრების“ ფენომენი დღეისთვის უკვე საყოველთაოდ ცნობილი რამაა. მიუხედავად ამისა, ისინი თანამედროვე ფორმით სულ რამდენიმე ათწლეულის წინ, საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთში წარმოებული ომის დროს გაჩნდნენ. მე-20 საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, კერძოდ კი პალესტინელი მქადაგებლის - ‘აბდალლაჰ აზზამის მოწოდების შემდგომ, მრავალი მოხალისე არაერთი არაბული ქვეყნიდან ავღანეთში საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად გაემგზავრა.[3] ავღანეთის ომის შემდეგ უცხოელი მეომრები სხვა ფრონტებზეც გამოჩნდნენ, მათ შორის ბოსნიასა და ჩეჩნეთში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მათ მიმართ აკადემიური ინტერესიც გაცილებით უფრო მაღალი გახდა.

UNODC უცხოელ ტერორისტ მეომრებს (FTF) ასე განმარტავს: „უცხოელი მეომარი არის ინდივიდი, ვინც ტოვებს თავის საცხოვრებელს იმ მიზნით, რომ შეუერთდეს საზღვარგარეთ მიმდინარე კონფლიქტში ჩართულ რომელიმე არასახელმწიფოებრივ შეიარაღებულ დაჯგუფებას. მისი პირდაპირი მოტივაცია არის იდეოლოგია, რელიგია ან/და ნათესაური კავშირი.“ მიუხედავად ამ კონკრეტული განმარტებისა, ამ ტერმინის და მისით გადმოცემული კონცეპტის შესახებ მკვლევარები კვლავ ბევრს მსჯელობენ. უცხო მიწაზე მიმდინარე ომში მონაწილეობა სხვადასხვა ფორმითაა შესაძლებელი. მაგალითად: ეს შეიძლება გულისხმობდეს მხოლოდ ფინანსურ მხარდაჭერას, ან ადგილზე ჩასვლას და არაძალადობრივი საქმიანობით კონკრეტული მხარის მხარდაჭერას. ეს მკვლევარები ცდილობენ მოიძიონ რაც შეიძლება ვიწრო და გამოსადეგი დეფინიცია.

ერთ-ერთი პირველი ავტორი, ვინც ამ საქმეს შეეჭიდა დევიდ მალეტი იყო. მისი განმარტება კონცენტრირდება მებრძოლის მოქალაქეობის საკითხზე - უცხოელი მებრძოლია ის, ვინც კონფლიქტში მონაწილეობს, თუმცა ამ ქვეყნის მოქალაქე არაა.[4]

ეს განმარტება ზედმეტად ზოგადია, თუმცა ამ კონცეპტის საზღვრებს ნათლად შემოხაზავს. მალეტის შეხედულებების განვრცობა მკვლევარმა თომას ჰეგჰამერმა სცადა. იგი უცხოელ მეომრებს აგენტებს უწოდებს, რომლებიც 4 კრიტერიუმს

[3] Cerwyn Moore, “Foreign Bodies: Transnational Activism, the Insurgency in the North Caucasus and ‘Beyond,’” Terrorism and Political Violence 27, no. 3 (May 27, 2015): 399, https://doi.org/10.1080/09546553.2015.1032035.
[4] Moore, “Foreign Bodies”, 397.

აკმაყოფილებენ: 1) უნდა შეუერთდნენ აჯანყებას და მის საზღვრებში მოღვაწეობდნენ; 2) არ უნდა ჰქონდეთ კონფლიქტის მონაწილე რომელიმე მხარის მოქალაქეობა და არ უნდა გააჩნდეთ რაიმე ტიპის ნათესაური კავშირი რომელიმე ბანაკთან; 3) არ უნდა იყვნენ ოფიციალური სამხედრო დაჯგუფების წევრები; 4) მათ არ უნდა უხდიდნენ ფულს.[5]

ამ განმარტებაში განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ავტორი გამორიცხავს რაიმე ტიპის ნათესაური კავშირის არსებობას უცხოელ მეომრებსა და მათ შორის, ვისთანაც ისინი იბრძვიან. ამით ავტორი ამ კონცეპტიდან უცხოეთში არსებული დიასპორების წარმომადგენლებს გამორიცხავს, რაც განსაკუთრებით საინტერესოა ჩეჩნეთის შემთხვევაში, ვინაიდან უცხოეთიდან შემოსული მეომრების გარკვეულ ნაწილს სწორედ დიასპორის წევრები წარმოადგენდნენ.

ამ ოთხი კრიტერიუმის გარდა, ჰეგჰამერი უცხოელი მეომრების მობილიზაციის მიზეზებთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ჩარჩოს ქმნის. იგი საუბრობს პან-ისლამიზმის ახალ ფორმაზე, რომლის საფუძველსაც მუსლიმი ძმების მიერ საუდის არაბეთისა და ყურის სხვა სახელმწიფოების აკადემიური სივრცის ხელში ჩაგდებასა და მათ მიერ საერთაშორისო არასამთავრობო ისლამური ორგანიზაციების ჩამოყალიბებაში ხედავს. იგი მიიჩნევს, რომ ეს ისლამისტები თავიდანვე მომართულნი იყვნენ საგარეო აქტივიზმზე, ვინაიდან სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების შიგნით მათი მოქმედება საკმაოდ შეზღუდული იყო. პან-არაბიზმის იდეებს რამდენიმე მნიშვნელოვანი საყრდენი აქვს. მათ შორისაა - მუსლიმური „უმმას“ კონცეფცია, რაც იმას გულისხმობს, რომ რელიგიური მიკუთვნებულობა ეთნიკურ და ნაციონალისტურ ნარატივებზე გაცილებით მაღალ საფეხურზე უნდა იდგას. ჰეგჰამერის მტკიცებით, პან-ისლამისტები ხაზს უსვამდნენ იმ ეგზისტენციალურ საფრთხეს, რის წინაშეც მუსლიმთა „უმმა“ იდგა. ამასთანავე, პან-ისლამისტები საკუთარი იდეოლოგიის რეალურ ცხოვრებაში გასატარებლად, თავიანთი ქვეყნების მიღმა მცხოვრები მუსლიმების დახმარების იდეას თავიდანვე მხარს უჭერდნენ. მრავალი ისლამური საქველმოქმედო ფონდის წარმოშობა სწორედ ამის შედეგი იყო. ჰეგჰამერი მიიჩნევს, რომ პან-ისლამიზმის იდეებმა „უცხოელი მებრძოლების“ გაჩენის საფუძველი მოამზადა.[6]

მკვლევარი კერვინ მურის მოსაზრებით, უცხოელი მებრძოლების გარშემო არსებული კვლევები აქტივიზმის ფენომენს ყურადღების მიღმა ტოვებს. ეს იმას გულისხმობს, რომ უცხოეთიდან ჩამოსული ადამიანების ნაწილი თავდაპირველ

[5] Thomas Hegghammer, “The Rise of Muslim Foreign Fighters: Islam and the Globalization of Jihad,” International Security 35, no. 3 (December 1, 2010): 57-58, https://doi.org/10.1162/ISEC_a_00023.
[6] Hegghammer, “The Rise of Muslim Foreign Fighters”, 79-85.

ეტაპზე, ან ზოგადად კონფლიქტის განმავლობაში არა მხოლოდ უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა, არამედ სხვა როლებსაც ითავსებდა. ბევრი მათგანი ჩართული იყო ქადაგებებსა და ისლამის კონკრეტული ვერსიის ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელების პროცესში. აქედან გამომდინარე კი, ტერმინი „უცხოელი მებრძოლი“ ზუსტად ვერ ასახავს იმ გაცილებით უფრო კომპლექსურ ფენომენს, რასაც ტრანსნაციონალური აქტივიზმი ეწოდება.[7]

კერვინ მური მიიჩნევს, რომ უცხოელ მებრძოლებზე საუბრისას სისხლისმიერი კავშირების უგულვებელყოფა სწორი არ იქნებოდა. ამის დასადასტურებლად მას ჩეჩნეთის მაგალითი მოჰყავს, სადაც სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები ჩეჩნური დიასპორებიდან მრავალი ადამიანი საბრძოლველად დაბრუნდა. ამასთან ერთად, იგი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ განსხვავებული ტიპის „კავშირის“ არსებობამ გარკვეული რაოდენობის ადამიანის მობილიზებაში (განსაკუთრებით თურქეთიდან) დიდი როლი ითამაშა.[8] ამით იგი კიდევ უფრო ამყარებს ჰეგჰამერის მოსაზრებას, რომ პან-ისლამისტური იდეები, განსაკუთრებით კი მუსლიმური „უმმას“ კონცეპტის წინ წამოწევა უცხოელი მეომრების მობილიზებაში მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება.

ჩვენი აზრით, ჩეჩნეთის მაგალითი ცხადყოფს პან-ისლამისტური იდეების მნიშვნელოვან გავლენას „უცხოელ მებრძოლებზე“. უფრო მეტიც, ეს მაგალითი ნათლად წარმოაჩენს, რომ უცხოელი მებრძოლები ადგილობრივ დონეზე აქტიურად ავრცელებენ ამ იდეებს, რის შედეგადაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, ჩეჩენი მებრძოლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ISIS-ის ბრძოლაში, მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩნეთში, და ზოგადად ჩრდ. კავკასიაში, ადგილობრივ ეთნიკურ ჯგუფებთან და კლანებთან მიკუთვნებულობა, მნიშვნელოვან სოციალურ ფაქტორს წარმოადგენს.

[7] Moore, “Foreign Bodies”, 401-405.
[8] Ibid., 397-398

ისტორიული და კულტურული კონტექსტი

მეოცე საუკუნის 90-იან წლებში დაწყებული რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტის რადიკალური იდეოლოგიის საწყისებისა და მისი სხვადასხვა საფეხურების უკეთ გასაგებად, მნიშვნელოვანია ერთგვარი ისტორიულ-კულტურული რაკურსის შემოტანა.

ჩეჩნეთი საბჭოთა კავშირში რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის ავტონომიური რესპუბლიკის - ჩეჩნეთ-ინგუშეთის ნაწილი იყო. მკვლევარი ეკატერინა სოკირიანსკაია ჩეჩნური იდენტობის სამ მნიშვნელოვან ნარატივს გამოყოფს. ესენია - „წუხილის მოგონებები"; „წარმატებების მოგონებები" და „მულტიკულტურული გამოცდილების მოგონებები". პირველი მათგანი ისტორიიდან ჩეჩნური, მთის კულტურისთვის დამახასიათებელი ღირსების შემლახავ მოგონებებს უკავშირდება. მაგალითად, მე-19 საუკუნის კავკასიურ ომში განცდილ პირველ მარცხს. ასევე, ჩეჩნების მასობრივ დეპორტაციას სტალინის პერიოდში. წარმატებების მოგონებები გულისხმობს იმ მოდერნიზაციას, რაც რეგიონს რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის მმართველობის ქვეშ ყოფნამ მოუტანა. წერა-კითხვის დონის ზრდა, გზებისა და რკინიგზის გაყვანა და ა.შ. მულტიკულტურალურ გამოცდილებაში კი ავტორი რუსებსა და ჩეჩნებს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრების ეპიზოდებს გულისხმობს.[9] შესაბამისად, 90-იანი წლების დასაწყისში ჩეჩნური კულტურა რუსეთთან აბსოლუტურად დაპირისპირებული არ ყოფილა. სწორედ ამიტომ, საბჭოთა კავშირის რღვევის პროცესში არსებობდა როგორც სეპარატისტული მოძრაობა, ასევე ამის საპირისპირო პოლიტიკური დაჯგუფება.

სიტუაცია შეიცვალა რუსეთის პრეზიდენტის, ბორის ელცინის გადაწყვეტილებით, რომელმაც 1991 წელს, სეპარატისტი ჯოხარ დუდაევის მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ ჩეჩნეთში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და შინაგან საქმეთა სამინისტროს რაზმებიც გაგზავნა, რომლებიც ადგილობრივებმა განაიარაღეს.[10]

ამის შემდეგ პრო-რუსული მოძრაობები დისკრედიტირებულნი აღმოჩნდნენ, სეპარატისტული მოძრაობები კი უფრო გამძლავრდნენ. ეს პროცესი კიდევ უფრო ინტენსიური 1994 წელს წამოწყებული ომის შემდეგ გახდა, რომლის დროსაც

[9] Ekaterina Sokirianskaia, "Ideology and Conflict: Chechen Political Nationalism Prior to, and during, Ten Years of War," in Ethno-Nationalism, Islam and the State in the Caucasus (Routledge, 2007), 104-111.
[10] Robert W. Schaefer, The Insurgency in Chechnya and the North Caucasus: From Gazavat to Jihad (ABC-CLIO, 2010),115

რუსეთის არმია განურჩევლად ბომბავდა და უტევდა სამოქალაქო სამიზნეებს, რის შედეგადაც უამრავი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა.[11]

აღსანიშნავია ისიც, რომ ანტირუსული ნარატივებისა და მოგონებების საფუძველში მუდმივად ვხვდებით ისლამს. ისლამი ჩრდ. კავკასიაში და, მათ შორის, ჩეჩნეთშიც შუა საუკუნეებიდანვე გამოჩნდა. სწორედ იგი იყო ის მნიშვნელოვანი სოციალური მამობილიზებელი ფაქტორი, რომელმაც რუსეთის იმპერიის მიმართ იმამ შამილის 10 წლიანი წინააღმდეგობა უზრუნველყო. ამასთანავე, სწორედ ისლამი იყო ის ნიშანი, რის გამოც სტალინის პერიოდში ჩეჩნეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი გადაასახლეს. აქედან გამომდინარე, ანტი-რუსული, სეპარატისტული ნარატივების გამძლავრების პარალელურად, ისლამის გავლენაც ძლიერდებოდა.

ჩეჩნეთში მეოცე საუკუნის 90-იანი წლებისთვის ძირითადად ისლამის სუფიური მიმდინარეობა იყო გავრცელებული. სუფიზმი სუნიტური ისლამის განშტოებაა, რომელსაც უზარმაზარი ისტორია და მრავალი საინტერესო ასპექტი აქვს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურება კი ისაა, რომ სუფიური საძმოები, რომელთაც „ტარიკა“ ეწოდებათ, ადგილობრივ წეს-ჩვეულებებს ადვილად ირგებენ. მაგალითისთვის, არაერთი სუფიური „ტარიკა“ აღიარებს წმინდანებს და ლოცულობს მათ სახელზე, მიუხედავად იმისა, რომ ისლამის მიხედვით ეს აკრძალული აქვთ. ჩეჩნეთში ძირითადად ორი საძმოა გავრცელებული - „კადირია“ და „ნაკშიბანდია“.[12]

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში რელიგიამ საჯარო სფერო დატოვა, მისი პირადი სივრციდან განდევნა ვერ მოხერხდა. „პერესტროიკასა“ და „გლასნოსტის“ პარალელურად, ისლამმა ჩეჩნეთში აღზევება განიცადა, მით უმეტეს, როგორც აღინიშნა, სწორედ ისლამს უკავშირდებოდა მათთვის საამაყო და სამაგალითო იმამ შამილის ბრძოლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ.

ამის მიუხედავად, თავდაპირველ ეტაპზე, ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის მოძრაობა სეკულარულ ძალად რჩებოდა. ჯოხარ დუდაევის გაცხადებული მიზანი სეკულარული რესპუბლიკის ჩამოყალიბება იყო. თუმცა, მნიშვნელოვანია ისიც აღინიშნოს, რომ იგივე დუდაევმა ფიცი სწორედ მუსლიმთა წმინდა წიგნზე - ყურანზე დადო.[13]

---

[11] Ariel Cohen, “A Threat to the West: The Rise of Islamist Insurgency in the Northern Caucasus and Russia’s Inadequate Response,” no. 2643 (n.d.), 15.
[12] Yavus Akhmadov, Stephen R Bowers, and Marion T Doss, “Islam in the North Caucasus: A People Divided” (2000), 11.
[13] Artem Kroupenev, “Radical Islam in Chechnya,” SSRN Scholarly Paper (Rochester, NY: Social Science Research Network, January 23, 2009), https://papers.ssrn.com/abstract=1333154, 1.

1994-1996 წლებში ჩეჩნეთის პირველი ომი მიმდინარეობდა. რუსეთის ფედერაცია იმედოვნებდა, რომ დიდი სამხედრო ძალა ჩეჩნების წინააღმდეგობას მარტივად გატეხდა. ეს ასე არ მოხდა. რუსეთის მხრიდან ძალის არადისკრიმინაციულმა გამოყენებამ და უდანაშაულო ადამიანების დიდმა მსხვერპლმა ჩეჩნებს ბრძოლის გაგრძელების სურვილი გაუმყარა. მათ პარტიზანული ბრძოლა წამოიწყეს, რის შედეგადაც მცირერიცხოვანი დანაყოფები მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვან სამხედრო ძალებს მარტივად აჩერებდნენ.[14]

დიდი რუსეთის მიერ პატარა ისლამური ერის დაჩაგვრა გახდა იმის მიზეზი, რომ უკვე პირველი ომის პერიოდში ჩეჩნეთში მრავალი უცხოელი მუსლიმი მეომარი ჩავიდა. ისინი ძირითადად სპარსეთის ყურის ქვეყნიდან და სხვა არაბული სახელმწიფოებიდან იყვნენ. მათ დიდ ნაწილს ნაბრძოლი ჰქონდა ავღანეთში და მისდევდნენ ისლამის ფუნდამენტალისტურ მიმდინარეობას - სალაფიზმს, უმრავლესობა კი ამ უკანასკნელის განშტოებას - ვაჰაბიზმს.

სალაფიზმი რეფორმატორული მოძრაობაა ისლამში, რომელიც მიიჩნევს, რომ ამ უკანასკნელმა თავისი ჭეშმარიტი სახე დაკარგა. სალაფიტების აზრით, სწორედ ამიტომ აუცილებელია საწყისებთან დაბრუნება. ვაჰაბიზმი კი სალაფიზმის ერთ-ერთი მიმდინარეობაა, რომელიც არაბეთის ნახევარკუნძულზე წარმოიშვა.

პან-ისლამისტური იდეოლოგია, რომელზეც ჰეგჰამერი საუბრობდა, სწორედ ისლამის ამ ფუნდამენტალისტურ გაგებას ეყრდნობა. სალაფიზმი ჩრდ. კავკასიის რეგიონისთვის უცხოელი მებრძოლების შემოსვლამდეც არ იყო უცხო. დაღესტანში ამ მიმდინარეობას უკვე მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საკმაოდ საფუძვლიანად ჰქონდა ფეხი მოკიდებული, თუმცა უშუალოდ ჩეჩნეთში ის მაინცდამაინც გავრცელებული არ ყოფილა. ჩრდ.კავკასიის კონტექსტში სალაფიზმი და ვაჰაბიზმი ხშირად ურთიერთშემცვლელ ტერმინებად გამოიყენება. პირველი ჩეჩნები, ვინც აქტიურად აფილირდნენ ვაჰაბიზმთან - ისლამ ხამილოვი, უსა უმაროვი და მოვლადი უდაგოვი იყვნენ.[15]

სალაფიზმი თავისი არსით უპირისპირდება სუფიზმს, ვინაიდან ეს უკანასკნელი მკაფიოდ შეიცავს იმ „დანამატებს“, რისგანაც ისლამის გაწმენდა სალაფისტებისთვის წმინდა მოვალეობაა. მიუხედავად ამისა, პირველი ომის პერიოდში, ადგილობრივი სუფიებიც, ჩამოსული სალაფიტებიც, ანუ ისლამისტებიც და სეკულარისტებიც ერთიანი ფრონტით რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

[14] Elena Pokalova, “The North Caucasus: From Mass Mobilization to International Terrorism,” Small Wars & Insurgencies 28, no. 3 (May 4, 2017): 609–28, https://doi.org/10.1080/09592318.2017.1307615, 613.
[15] Akhmadov, Bowers, and Doss, “Islam in the North Caucasus: A People Divided,“ 12.

ჩეჩნების მიერ ტერორისტული ტაქტიკების გამოყენებაც ამავე პერიოდში იწყება. შამილ ბასაიევი - ცნობილი ჩეჩენი ტერორისტი ომამდელ პერიოდშიც განთქმული მეომარი იყო, რომელიც სხვადასხვა რეგიონალურ კონფლიქტში(მათ შორის აფხაზეთში) მონაწილეობდა. ჩეჩნეთის ომის დროს მან ტერორისტული ტაქტიკების გამოყენება დაიწყო. ერთ-ერთი პირველი ტერორისტული აქტი ქ.ბუდენოვსკის საავადმყოფოში ტყვეების აყვანა იყო. რამდენიმე დღიანი დაძაბულობის შემდგომ რუსეთის მთავრობასა და ბასაიევს შორის მოლაპარაკებები შედგა. ბასაიევმა ჩეჩნეთის ცეცხლის შეწყვეტას მიაღწია, რითაც გაუმყარდა რწმენა იმის შესახებ, რომ ტერორიზმი ბრძოლის ეფექტური გზა იყო. რუსეთი კი პირველად და უკანასკნელად დაჰყვა ტერორისტების მოთხოვნას.[16]

1996 წელს ჯოხარ დუდაევი სარაკეტო თავდასხმას შეეწირა. ამას წინააღმდეგობის მოძრაობა არ გაუტეხავს, მალე მათ ცნობილი გენერლის - ასლან მასხადოვის მეთაურობით, კონტრშეტევა წამოიწყეს, რის შედეგადაც აჯაყებულებმა ქ.გროზნო ხელში ჩაიგდეს. რუსეთის ხელმძღვანელობა ხვდებოდა, რომ უზარმაზარი რესურსების შეწირვის მიუხედავად, ჩეჩნეთის დაპყრობა რთული ხდებოდა, ამიტომაც ისინი მოლაპარაკებებს დათანხმდნენ. 1996 წელს ხასავიურტის შეთანხმება დაიდო, რის შედეგადაც ჩეჩნეთმა დე-ფაქტო დამოუკიდებლობა მოიპოვა.[17]

საერთო საგარეო მტრის მოშორებამ ჩეჩნეთში მთელი რიგი შიდა დაპირისპირებები გამოავლინა. ომში უცხოელი, ისლამისტი მეომრების წარმატებული ჩართულობა, მათი მრავალი, გმირობად შერაცხული გამარჯვება ისლამიზმის იდეების გავრცელების საფუძველი გახდა. თავი იჩინა გარდაუვალმა დაპირისპირებამ ადგილობრივ სუფიზმსა და სალაფიტურ-ვაჰაბისტურ მიმდინარეობას შორის.

ახალგაზრდა თაობისთვის ეს უკანასკნელი მიმდინარეობა სულ უფრო მიმზიდველი ხდებოდა. სუფიზმი სახელგატეხილი იყო, ვინაიდან მათი ლიდერები საბჭოთა ხელისუფლებასთან აფილირებულებად აღიქმებოდნენ.[18] ამასთან ერთად, ისლამისტების გზავნილები უფრო მარტივად გასაგები და დასაჯერებელი იყო იმ ადამიანებისთვის, რომლებიც 70 წლის განმავლობაში ათეისტურ სისტემაში ცხოვრების გამო, ისლამს სიღრმისეულად არ იცნობდნენ. ამასთან ერთად

[16] Schaefer, The Insurgency in Chechnya and the North Caucasus, 132.
[17] Cohen, "A Threat to the West: The Rise of Islamist Insurgency in the Northern Caucasus and Russia's Inadequate Response." 5.
[18] Souleimanov, "The Caucasus Emirate", 160.

ვაჰაბიზმი ხალხს მარტივად აღქმად გზავნილებს სთავაზობდა, რითიც სუფიური ტარიკების ელიტისტურ და მისტიკურ ბუნებას უპირისპირდებოდნენ.[19]

შესაბამისად, ვაჰაბიზმი არსებული სოციალური კლანური სტრუქტურის წინააღმდეგ ერთგვარი წინააღმდეგობის პლატფორმად იქცა. იგი თავისი არსით რეფორმისტულია და საფუძვლად საზოგადოების გარდაქმნის დოქტრინა უდევს. ამასთან ერთად, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ვაჰაბიზმი საკუთარ მიმდევრებს ღმერთთან (ალლაჰთან) მისვლის მარტივ გზას სთავაზობს, რადგან, სუფიური საძმოებისგან განსხვავებით, შუამავლების აუცილებლობას უარყოფს.[20]

ფუნდამენტალიზმი და მისი ლექსიკა კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა შამილ ბასაიევის მიერ უცხოელი მეომრების ლიდერის - უმარ იბნ ხატაბის „ძმად“ შერაცხვამ. რთულია იმის თქმა, თუ რამდენად ბევრი ადამიანი მოექცა უშუალოდ სალაფიზმზე ან ვაჰაბიზმზე, თუმცა ცხადია, რომ ომთაშორის პერიოდში როგორც ისლამისტური, ისე ჯიჰადისტური ლექსიკა და იდეოლოგია სულ უფრო მეტად მძლავრდებოდა.

ეს ყველაზე ნათლად პოლიტიკური პროცესების დაკვირვებისას ჩანს. 1997 წლის არჩევნებში გამარჯვება ასლან მასხადოვმა მოიპოვა, იგი დუდაევის სეკულარისტული გზის გამგრძელებლად ითვლებოდა. მეორე და მესამე ადგილი ისლამისტებმა - შამილ ბასაიევმა და ზემილხან იანდერბიევმა დაიკავეს. არჩევნებში გამარჯვების მიუხედავად, მასხადოვისთვის ქვეყნის მართვა მარტივი ამოცანა არ აღმოჩნდა. მან ვერ მოახერხა ხელისუფლების ცენტრალიზაცია, კრიმინალის აღმოფხვრა და კანონის უზენაესობის დამკვიდრება. სხვადასხვა ფაქტორის გამო ვერც ეკონომიკური და სოციალური პრობლემები მოგვარდა.

მასხადოვმა სცადა გამკლავებოდა ძალაუფლების პარალელურ ცენტრებს, რომელთა შუაგულშიც სწორედ ფუნდამენტალისტური იდეოლოგიის მქონე სამხედრო ლიდერები იყვნენ. თავდაპირველად მასხადოვი ერთგვარი კოალიციის შექმნას ესწრაფვოდა, სწორედ ამიტომ მის ვიცე პრეზიდენტად ფუნდამენტალისტი - ვახა მასხადოვი დაინიშნა. ამან სიტუაციის განმუხტვა ვერ შეძლო.

1998 წელს, სალაფიტებსა და სუფიების შეიარაღებულ რაზმებს შორის მორიგი შეტაკების შემდეგ მასხადოვმა მტკიცე პოზიციის დაჭერა გადაწყვიტა. მან ვაჰაბიზმი აკრძალა, ხოლო იბნ ხატაბს ქვეყნის დატოვება უბრძანა.[21] პრეზიდენტს

[19] Galina M. Yemelianova, “Sufism and Politics in the North Caucasus,” Nationalities Papers 29, no. 4 (December 2001): 661–88, https://doi.org/10.1080/00905990120102138, 677.
[20] Emil Souleimanov, “Chechnya, Wahhabism and The Invasion of Dagestan” 9, no. 4 (2005), 55
[21] Souleimanov, “Chechnya, Wahhabism and The Invasion of Dagestan,“ 58.

ბასაიევი და არსანოვი დაუპირისპირდნენ. ოპოზიციამ გაიმარჯვა. იბნ ხატაბი ქვეყანაში დარჩა, ხოლო მასხადოვს სალაფიტებთან დათმობაზე წასვლა მოუწია. მან შარიათი სახელმწიფოს კანონმდებლობად გამოაცხადა.[22] ისლამიზმი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

ფუნდამენტალისტური იდეოლოგიის გამძლავრება გარკვეულწილად თავად ისლამის ბუნებასაც უკავშირდება, რადგან ეს უკანასკნელი თავის მრევლს გამზადებულ პოლიტიკურ სისტემას სთავაზობს. ომთაშორისმა პერიოდმა აჩვენა, რომ სეკულარისტების მხრიდან დამოუკიდებლობის მიღწევის სურვილის მიუხედავად, მათ არ იცოდნენ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ მისი მოპოვების შემდგომ. ამაზე პასუხი კი ისლამში უკვე მოცემული იყო.

შარიათის აღიარების შემდეგ ფუნდამენტალისტები და მათი მოკავშირე შამილ ბასაიევი მიიჩნევდნენ, რომ ჯიჰადი მთელ ჩრდ.კავკასიაში უნდა გავრცელებულიყო. სწორედ ამიტომ მათ დაღესტანში შეჭრის იდეის მომზადება დაიწყეს. აქ სალაფიზმი კიდევ უფრო ფართოდ იყო გავრცელებული, ვიდრე ჩეჩნეთში, თანაც ისინი ცენტრალურ ხელისუფლებას დაუმორჩილებლობას უცხადებდნენ. მართლაც, ჩეჩნები და უცხოელი ვაჰაბისტი მეომრები დაღესტანში შეიჭრნენ, სადაც ისინი რუსეთის წინააღმდეგ ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერასაც ელოდნენ. თუმცა ეს ასე არ მოხდა და დაღესტნული მულტიეთნიკური საზოგადოება რადიკალების შეტევას წინ აღუდგა.[23] თავად ეს კონფლიქტი კი რუსეთისთვის შესანიშნავ საბაბად იქცა წამოეწყო ახალი ომი ჩეჩნეთის დასაბრუნებლად.

1999 წელს დაწყებულ ჩეჩნეთის მეორე ომში რუსეთი გაცილებით უკეთ მომზადებული ჩაერთო. მათ, გარდა იმისა, რომ წარმატებით დაიკავეს ჩეჩნეთის ტერიტორია, ასევე მოიძიეს ის ადგილობრივი ძალები, ვინც მათ მხარს დაუჭერდა. გამომდინარე იმ შიდა დაპირისპირებებისა, რაც ომთაშორის პერიოდში მიმდინარეობდა, პროცესების წარმართვა უკვე გაცილებით მარტივი გახდა. სუფიების ნაწილი ჩეჩნეთის ყოფილი მუფტის - აჰმად კადიროვის გარშემო დაირაზმა და ამჯერად „უცხოელი ვაჰაბიტების“ წინააღმდეგ რუსეთის მხარეს დადგნენ. 2000 წელს, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ჩეჩნეთი პირადი მართვის ქვეშ აიყვანა და თავის წარმომადგენლად სწორედ აჰმად კადიროვი დანიშნა. დაიწყო ე.წ „ჩეჩენიზაციის“ პროცესი.[24]

---

[22] Schaefer, The Insurgency in Chechnya and the North Caucasus, 175.
[23] Souleimanov, “Chechnya, Wahhabism and The Invasion of Dagestan,“ 62-65.
[24] Cohen, “A Threat to the West: The Rise of Islamist Insurgency in the Northern Caucasus and Russia’s Inadequate Response.“ 7-8.

ჩეჩენთა ნაწილი პარტიზანული ტაქტიკის გამოყენებით ბრძოლას კვლავ აგრძელებდა. ბასაიევი და უცხოელი მებრძოლები ასევე აქტიურად იყენებდნენ ტერორისტულ მეთოდებს, თუმცა რუსეთის კონტრტერორისტული პოლიტიკაც გაცილებით უფრო მრავალმხრივი გახდა. ისინი კვლავ იყენებდნენ ბრუტალურ ძალას, თუმცა ამის მიღმა ჩეჩნეთის წინააღმდეგობის მოძრაობის დისკრედიტაციისკენ მიმართულ აქტიურ საინფორმაციო კამპანიასაც აწარმოებდნენ. ამასთან ერთად, რუსეთის ცენტრალური ხელისუფლება აჰმად კადიროვის გარშემო ცენტრალიზებული ძალაუფლების ელემენტების დასანერგად დიდი რაოდენობით ფინანსურ რესურს ხარჯავდა (და დღესაც ხარჯავს).

არსებულ სიტუაციასთან ჩეჩნებიც ადაპტირდნენ. მასხადოვს კვლავ ფუნდამენტალისტურ და ძალადობრივ დაჯგუფებებთან დაკავშირების გარდა, სხვა გზა არ ჰქონდა. შამილ ბასაიევი იჩხერიის ჯარების სარდლად დაინიშნა. ამ უკანასკნელმა კი ე.წ. სამხედრო „ჯამა'ათ", ანუ სამხედრო დაჯგუფებები მთელ ჩრდ. კავკასიაში დააორგანიზა. ამასთან ერთად, იგი ბრძოლის რუსეთის შუაგულში გადატანის იდეას მხარს უჭერდა. ამას შედეგად 2004 წელს მოსკოვის მეტროში ორი აფეთქება მოჰყვა. ამასთანავე, ბესლანის ტრაგედიაც ბასაიევის სახელს უკავშირდება.[25]

ასლან მასხადოვი 2005 წელს გარდაიცვალა, მისი პოზიცია აბდულ ჰალიმ სადულაიევმა დაიკავა. იგი ასევე მტკიცედ ისლამისტურ ხაზს ატარებდა და მხარს უჭერდა შარიათს. თუმცა, როგორც ცნობილია, მან გადაარწმუნა შამილ ბასაიევი, რათა სამოქალაქო პირები მიზანში არ ამოეღო.[26]

სადულაიევი მალევე, 2006 წელს გარდაიცვალა და იჩხერიის რესპუბლიკის პრეზიდენტი დოკუ უმაროვი გახდა. თავდაპირველად, იგი სუფი და ზომიერი ისლამისტი იყო, ნაკლებად იყენებდა რელიგიურ ტერმინოლოგიას, თუმცა ისლამური ცხოვრების წესის დანერგვის აუცილებლობას არ უარყოფდა. ამის გამო უმაროვი ასლან მასხადოვის ახლო თანამებრძოლი იყო. თანამდებობის დაკავების შემდეგ იგი ფუნდამენტალისტ ისლამისტებთან მეტად აფილირდა. ის აქტიურად მოგზაურობდა ჩრდ.კავკასიის გარშემო და სტუმრობდა სხვადასხვა სამხედრო „ჯამა'ათებს", რომლებიც უმეტესწილად სალაფიტი მეომრებისგან შედგებოდა.[27]

---

[25] Gordon M. Hahn, "The Jihadi Insurgency and the Russian Counterinsurgency in the North Caucasus," Post-Soviet Affairs 24, no. 1 (January 1, 2008): 1–39, https://doi.org/10.2747/1060-586X.24.1.1, 4-5.
[26] Schaefer, The Insurgency in Chechnya and the North Caucasus, 235.
[27] Domitilla Sagramoso, "The Radicalisation of Islamic Salafi Jamaats in the North Caucasus: Moving Closer to the Global Jihadist Movement?," Europe-Asia Studies 64, no. 3 (May 1, 2012): 561–95, https://doi.org/10.1080/09668136.2012.661933, 587

ამავე 2006 წელს შამილ ბასაიევი მოკლეს. ლიდერების ასე თანმიმდევრულად დაკარგვამ აჯანყება დაასუსტა. პრეზიდენტს წინააღმდეგობის გაღვივებისთვის ახალი გზების მოძიება სჭირდებოდა.

2007 წელს დოკუ უმაროვმა იჩხერიის რესპუბლიკის აღსასრული გამოაცხადა. ეს თარიღი შეგვიძლია ჩეჩნეთის წინააღმდეგობის მოძრაობის გლობალურ ჯიჰადში ოფიციალურ ჩართვის პერიოდად მივიჩნიოთ. უმაროვმა „კავკასიის საამიროს“ დაარსება დააანონსა, რომელიც მუსლიმთა ყველა მტრის, მათ შორის აშშ-ისა და ისრაელის წინააღმდეგ იბრძოლებდა.[28]

„კავკასიის საამიროს“ დაარსება გულისხმობდა არა მხოლოდ წინააღმდეგობის მოძრაობის სრულ ისლამიზაციას და გლობალურ ჯიჰადში ჩართვას, არამედ ადგილობრივი ბრძოლის მთელ ჩრდ.კავკასიაში გადატანას. საამირო „ვილაიეთებად“ დაიყო, რომლებიც დიდწილად რუსეთის ფედერაციის ავტონომიური რესპუბლიკების ადმინისტრაციულ საზღვრებს ემთხვეოდა. „კავკასიის საამირო“ მეტწილად ქოლგა ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელიც სხვადასხვა ტერიტორიაზე განფენილ, თვითკმარ სამხედრო დაჯგუფებებს, ანუ „ჯამ'ათებს“ აერთიანებდა. მათი ტაქტიკა უშუალოდ ჩრდ.კავკასიაში პარტიზანულ ბრძოლას წარმოადგენდა. ამასთან ერთად, ისინი აწარმოებდნენ ტერორისტულ ოპერაციებს, როგორც რუსეთის შუაგულში, ასევე ჩრდ. კავკასიაში, მაგრამ ამ უკანასკნელში სამოქალაქო სამიზნეებზე თავდასხმისაგან თავს იკავებდნენ, რათა არ მოეხდინათ მოქალაქეების ანტაგონიზაცია.[29]

თავდაპირველ ეტაპზე რეორგანიზაციამ წარმატება მოიტანა, თუმცა თანდათანობით, რუსეთის კონტრტერორისტული პრაქტიკისა და რამზან კადიროვის მიერ ძალაუფლების კონცენტრაციის შედეგად, „კავკასიის საამირო“ დასუსტდა. 2009 წლისთვის აჯანყებულთა რაოდენობა 500-800 ადამიანს შეადგენდა. 2014 წლის სოჭის ოლიმპიადის წინ რუსეთის სპეციალური სამსახურები ადგილობრივ ტერორისტებს განსაკუთრებული მონდომებით დაუპირისპირდნენ. მათ ჯერ დოკუ უმაროვი მოკლეს, მალევე კი მისი მემკვიდრეები - ალიაშკაბ კებეკოვი და მაგომედ სულეიმანოვი.[30] ამ პროცესების პარალელურად, ახლო აღმოსავლეთში ახალი რადიკალური, ტერორისტული ძალა ჩამოყალიბდა - ISIS-ის სახით. „ისლამური სახელმწიფო“ გამორჩეული იყო თავისი სისასტიკით, იმდენად, რომ არაერთ სხვა ტერორისტულ ორგანიზაციებსაც კი არ სურდათ მათთან

[28] Schaefer, The Insurgency in Chechnya and the North Caucasus, 236.
[29] Emil Souleimanov, "The Caucasus Emirate: Genealogy of an Islamist Insurgency," Middle East Policy 18, no. 4 (December 2011): 155–68, https://doi.org/10.1111/j.1475-4967.2011.00517.x, 161-163.
[30] Pokalova, "The North Caucasus", 619-620.

აფილირება. ამ პერიოდში გახშირდა ჩეჩენი მებრძოლების გადინება სირიასა და ერაყში, სადაც ისინი სხვადასხვა დაჯგუფებებს, მათ შორის ისლამურ სახელმწიფოს უერთდებოდნენ. ამ უკანასკნელის სწრაფმა გაძლიერებამ კი განხეთქილება უშუალოდ კავკასის საამიროს ორგანიზაციის შიგნითაც შემოიტანა. მალევე „ისლამური სახელმწიფოს“ მომხრეებმა გაიმარჯვეს, „კავკასიის საამირო“ კი „კავკასიის ვილაიეთად“ და ISIS-თან აფილირებულ ორგანიზაციად იქცა.

ზემოთ მოცემული ისტორიული განვითარების აღწერა სპეციალურად არ შეიცავს ჩეჩნეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში ჩართული უცხოელი მეომრების ფაქტორს. შემდგომი თავები სწორედ იმის განხილვას დაეთმობა, თუ რა როლი ითამაშეს ამ უკანასკნელებმა ჩეჩნეთის წინააღმდეგობის მოძრაობის ისტორიაში, როგორ შეუწყვეს ხელი ამ უკანასკნელის ჩართულობას გლობალურ ჯიჰადში და როგორ აისახა ეს საბოლოოდ ISIS-სა და სხვა ახლო აღმოსავლეთში არსებულ ტერორისტულ ორგანიზაციებში ჩეჩენი მებრძოლების გადინების პროცესზე.

უცხოელი ტერორისტი მებრძოლები ჩეჩნეთში

მკვლევარი კერვინ მური ჩეჩნეთში უცხოელი მებრძოლების ჩართულობასა და ტრანსნაციონალურ აქტივიზმზე საუბრისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უცხო მიწაზე მიმდინარე კონფლიქტში ადამიანთა ჩართულობის მოტივაციას. იგი მიიჩნევს, რომ ბევრი ასეთი პიროვნებისთვის მთავარი მამოტივირებელი ფაქტორი ერთგვარი მიკუთვნებულობის განცდაა. პან-ისლამისტური იდეოლოგიების შემთხვევაში, ამ მიკუთვნებულობას რელიგიური საზოგადოების, ე.წ. „უმმას" არსებობა ქმნის.[31] მართლაც, კონფლიქტის პერიოდში ჩასულ უცხოელ მებრძოლთა დიდი ნაწილის მოტივს სწორედ რელიგიური საზოგადოების დაცვა და შემდგომი წინსვლა წარმოადგენდა.

ამის მიუხედავად, ჩეჩნეთში უცხოელ მებრძოლთა ჩართულობა იორდანიელი ჩეჩენის - შაიხ ალი ფათჰი ალ-შიშანის წყალობით დაიწყო. ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ ფიქტიური, რელიგიური მიკუთვნებილობის გარდა, უცხოელი მებრძოლების მობილიზაციაში ეთნიკური კავშირებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ხოლო ჩეჩნური დიასპორა დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა თურქეთში, სირიაში, ერაყსა და იორდანიაში.[32]

შაიხ ფათჰი იორდანიელ-ჩეჩენი ინჟინერი იყო, რომელიც ავღანეთში მიმდინარე ჯიჰადში მონაწილეობას იღებდა. ჯანმრთელობის პრობლემის გამო, უშუალოდ სამხედრო ქმედებებში ვერ აქტიურობდა, თუმცა ერთ-ერთი ავღანელი სარდლის მნიშვნელოვან დამხმარეს წარმოადგენდა. 1993 წელს იგი ჩეჩნეთში ჩავიდა, სადაც სალაფიტური ისლამური საზოგადოება დააარსა. სწორედ ავღანეთში შექმნილი კონტაქტების საფუძველზე, მან ჩეჩნების მხარდასაჭერად მეომრებისა და სხვა ტიპის დამხმარეების რეკრუტირება დაიწყო.[33]

1995 წელს შაიხ ფათჰის მოწვევას ავღანეთში განთქმული საუდელი მეომარი და ტერორისტი - სამირ იბნ სალიჰ იბნ 'აბდალლაჰ ალ-სუვაილიმი, ცნობილი, როგორც იბნ ხატაბი, ან ამირა ხატაბი, გამოეხმაურა. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ჩეჩნეთში შაიხ ფათჰის მოწვევის შედეგად ჩამოვიდა, რითიც პატივი სცა ჯიჰადის ტრადიციას - ადგილობრივების მიერ მოწვევა აუცილებელია.[34]

---

[31] Cerwyn Moore, "Foreign Bodies: Transnational Activism, the Insurgency in the North Caucasus and 'Beyond,'" Terrorism and Political Violence 27, no. 3 (May 27, 2015), 411.
[32] Cerwyn Moore and Paul Tumelty, "Foreign Fighters and the Case of Chechnya: A Critical Assessment," Studies in Conflict & Terrorism 31, no. 5 (April 11, 2008), 416.
[33] Moore and Tumelty, "Foreign Fighters and the Case of Chechnya", 416.
[34] Moore, "Foreign Bodies", 400.

იბნ ხატაბსა და შაიხ ფათჰის ერთად საკმაოდ სერიოზული კავშირები ჰქონდათ სალაფიტურ ისლამისტურ ფონდებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც ჩეჩნეთში არსებულ სალაფიტურ დაჯგუფებას რესურსებით ამარაგებდნენ.[35] იბნ ხატაბი ჩრდილოეთ კავკასიაში უშუალოდ ომის პერიოდში გამოჩნდა, შესაბამისად მისი სამხედრო გამოცდილება და დამატებითი ფინანსური თუ ადამიანური რესურსები წინააღმდეგობის მოძრაობისთვის დიდი მნიშვნელობის იყო. ამასთან ერთად, ავღანეთის ომში გამოწვრთნილი მეომრები ადგილობრივ ჩეჩნებს მნიშვნელოვან პარტიზანულ საბრძოლო ტექნიკებს ასწავლიდნენ.[36]

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ სალაფიტური წარმოდგენებით სუფიზმი მკრეხელობაა. ამის მიუხედავად, თავდაპირველ ეტაპზე იბნ ხატაბი პერსონალურად არ დაპირისპირებია ადგილობრივ სუფიურ საძმოებს.[37] ამ ნაბიჯით მას სურდა მის მოძრაობას სათანადოდ მოეკიდებინა ფეხი ჩეჩნეთში და თავიდან აერიდებინა წინააღმდეგობა არა მხოლოდ რუსეთის ძალების, არამედ ადგილობრივების მხრიდან.

იბნ ხატაბის მნიშვნელოვანი ნაბიჯი შამილ ბასაიევთან ახლო ურთიერთობის დამყარება იყო. ბასაიევმა, რომელიც ბევრი ჩეჩენის მიერ გმირად აღიქმებოდა, იბნ ხატაბს „ძმა“ უწოდა, რითაც მას და მის სალაფიტურ იდეოლოგიას ავტორიტეტი კიდევ უფრო გაუმყარა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩნეთის სეპარატისტული მოძრაობისთვის რუსეთის დამარცხება საკმარისი იყო, ჯიჰადისტი იბნ ხატაბისთვის არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. იგი მიიჩნევდა, რომ ერთი ქვეყნის გათავისუფლებას თან უნდა მოჰყოლოდა ამ ქვეყნიდან ჯიჰადის მის მეზობელ სახელმწიფოებში გავრცელება.[38] იბნ ხატაბისთვის ომთაშორისი პერიოდი ამ პროცესისთვის მზადებას დაეთმო.

ამ პერიოდში ჩეჩნეთში უცხოელების ჩართულობა მხოლოდ სამხედრო მომზადებით არ შემოიფარგლებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროცესებში აბუ ომარ ალ-საიფის როლი. იგი წარმოადგენდა იბნ ხატაბის რელიგიურ მრჩეველს, მას ჰქონდა პირდაპირი კავშირები სპარსეთის ყურის ქვეყნების რელიგიურ ავტორიტეტებთან.[39]

---

[35] BRIAN GLYN WILLIAMS, “Allah’s Foot Soldiers: An Assessment of the Role of Foreign Fighters and Al-Qa‘ida in the Chechen Insurgency,” in Ethno-Nationalism, Islam and the State in the Caucasus (Routledge, 2007), 161.
[36] WILLIAMS, “Allah’s Foot Soldiers,“ 162.
[37] Moore, “Foreign Bodies”, 400.
[38] Moore and Tumelty, “Foreign Fighters and the Case of Chechnya”, 419.
[39] Moore and Tumelty, “Foreign Fighters and the Case of Chechnya”, 419.

ამის პარალელურად, სალაფიზმის გავრცელება პანკისის ხეობაში აქტიურად მიმდინარეობდა, სადაც ომის შედეგად ლტოლვილთა დიდი რაოდენობა აღმოჩნდა. ეს ტერიტორია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისთვის მეტწილად მიუწვდომელი იყო. 1999 წლისთვის აქ არაბი მოხალისეები ჩამოვიდნენ, რომლებიც თავიანთ იდეოლოგიას აქტიურად ავრცელებდნენ. მათ შორის განსაკუთრებით გამორჩეული იყო ხალედ იუსუფ მოჰამმადი.[40] რეკრუტირების მნიშვნელოვან წყაროს ინგუშეთში არსებული ასეთივე ლტოლვილთა ბანაკი წარმოადგენდა.

ომთაშორის პერიოდში იბნ ხატაბის მნიშვნელოვანი თანაშემწეები იყვნენ აბუ ჰაფს ალ-ურდანი, აბუ კუტიბა, აბუ ვალიდ ალ-ღამიდი, თურქი მოხალისეების ლიდერი - ბილალი და ეგვიპტელი აბუ ბაქრ აკიდა. ამ მრავალი წარმოშობის ადამიანს ერთმანეთთან პან-ისლამისტური იდენტობა და იდეოლოგია აერთიანებდა.

უცხოელი მებრძოლები, უფრო ზოგადად თუ ვიტყვით, უცხოელი სალაფიტი აქტივისტები დიდი ფინანსური რესურსით სარგებლობდნენ, ჰქონდათ გამართული ორგანიზაციული სტრუქტურა და საკუთარი იდეოლოგიის პროპაგანდას აქტიურად ეწეოდნენ. თანდათანობით სალაფიზმი მოსახლეობაში სულ უფრო დიდ პოპულარობას იძენდა. უცხოელი სალაფიტების მსგავსად, უფრო და უფრო მეტი ახალგაზრდა უშვებდა წვერს, უარს ამბობდა ალკოჰოლზე, სუფიურ კოლექტიური ზიქრის რიტუალზე და ა.შ.[41] ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ეს უცხოელი მქადაგებლები ადგილობრივ რელიგიურ პირებთან შედარებით, ისლამში გაცილებით უკეთ იყვნენ გაცნობიერებულნი. ამას ემატებოდა ისიც, რომ მოსახლეობაში რელიგიურ პირებს რუსული დაზვერვის სამსახურებთან შესაძლო თანამშრომლობის გამო, სახელი ჰქონდათ გატეხილი.[42]

ომთაშორის პერიოდში უცხოელი სალაფიტი მეომრებისა და აქტივისტების წყალობით, ჩეჩნეთში ამ ფუნდამენტალისტურმა იდეოლოგიამ ფეხი მოიკიდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამის ყველაზე ნათელ გამოვლინებას იჩხერიის პრეზიდენტის - ასლან მასხადოვის მიერ ისლამისტებისთვის გამოხატული მნიშვნელოვანი პოლიტიკური დათმობები წარმოადგენს.

დაღესტანში იბნ ხატაბისა და შამილ ბასაიევის საერთო ავანტიურის შედეგად, ჩეჩნეთის მეორე ომიც დაიწყო. ამჯერად სუფიური საძმოების ნაწილი აჰმად კადიროვის გარშემო პრო-რუსულ ფლანგში გაერთიანდა, ხოლო ასლან მასხადოვს

[40] Moore, “Foreign Bodies”, 402.
[41] WILLIAMS, “Allah’s Foot Soldiers“, 162.
[42] Schaefer, The Insurgency in Chechnya and the North Caucasus, 170.

ისლამისტ ბასაიევთან და იბნ ხატაბთან შერიგება მოუწია. 2000 წლისთვის განსაკუთრებით გამძაფრდა ტერორისტული თავდასხმები, გამოჩნდნენ თვითმკვლელი ტერორისტებიც.[43] მასხადოვის მცდელობების მიუხედავად, ტერორისტული აქტების რაოდენობა გაიზარდა, რომლებშიც უცხოელი ტერორისტი მებრძოლები და იბნ ხატაბი აქტიურად მონაწილეობდნენ.

2002 წელს რუსეთის სპეც. სამსახურებმა იბნ ხატაბის მოკვლა მოახერხეს, რის შემდეგაც უცხოელი ტერორისტი მებრძოლების ხელმძღვანელობა თავის თავზე მისმა მოადგილემ - აბუ ვალიდ ალ-ღამიდიმ აიღო. 2004 წელს აბუ ვალიდიც დაიღუპა. ამის შემდეგ იგივე პოზიცია დროებით აბუ კუტაიბამ, მოგვიანებით კი აბუ ჰაფს ალ-ურდუნიმ დაიკავა. ეს უკანასკნელი 2006 წელს მოკლეს. 2005 წელს ასევე მოკლეს აბუ ომარ ალ-საიფი.[44] ლიდერების ასე სწრაფ-სწრაფად სიკვდილმა ჩეჩნეთში უცხოელი მებრძოლების ჩართულობა შეამცირა.

ჩეჩნეთში უცხოელი ტერორისტი მებრძოლების სიჭარბემ და მათი გავლენის ზრდამ რუსეთის სპეცსამსახურებს ადგილობრივი სეპარატისტული მოძრაობის დისკრედიტაციისთვის შესანიშნავი შანსი გაუჩინა. რუსეთის კონტრტერორისტული საინფორმაციო კამპანია აპელირებდა იმაზე, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში უცხოელი მებრძოლების ყოფნა ხაზს უსვამდა ჩეჩნეთის წინააღმდეგობის მოძრაობის კავშირებს „ალ-კაიდასთან“.[45] სინამდვილეში, იბნ ხატაბი არ ყოფილა აფილირებული ბინ ლადენთან. სხვადასხვა წყაროებით დასტურდება, რომ იგი იცნობდა მას, თუმცა მისთვის ერთგულება არ გამოუცხადებია. იბნ ხატაბის ძმების გადმოცემით, ეს უკანასკნელი არ ყოფილა არცერთი იდეოლოგიური ორგანიზაციის წევრი და არ უჭერდა მხარს ჩეჩნეთის კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციას. „ალ-კაიდასთან“ მის კავშირს უარყოფს ავღანეთში ყოფნის დროს იბნ ხატაბის მენტორი - ჰასან ალ-სურაიჰი. ამასთან ერთად ცნობილია, რომ იბნ ხატაბი უცხოელი ტერორისტი მებრძოლების მიმართ ძალიან სელექციური იყო. ამის გამო, 2001 წელს,, თალიბანის რეჟიმის ჩამოშლის შემდეგ „ალ-კაიდას” ბევრმა წევრმა ჩეჩნეთში მოღვაწეობის გაგრძელება ვერ შეძლო,[46] რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ იბნ ხატაბი „ალ-კაიდასთან“ აფილირებული არ ყოფილა.

იგივე შეიძლება ითქვას მისი მემკვიდრის, აბუ ვალიდის შემთხვევაშიც. ხოლო, ჩეჩნეთში უცხოელი ტერორისტი მებრძოლების შემდგომმა ლიდერმა - აბუ ჰაფსმა

[43] WILLIAMS, “Allah’s Foot Soldiers”, 172.
[44] Moore, “Foreign Bodies”,403.
[45] Schaefer, The Insurgency in Chechnya and the North Caucasus, 221-222.
[46] Moore and Tumelty, “Foreign Fighters and the Case of Chechnya”, 421-422.

რიტორიკა „ალ-კაიდას“ უფრო დაუახლოვა.[47] ამის მიუხედავად, არც მას და არც ჩეჩნეთის წინააღმდეგობის მოძრაობას ერთგულება ამ ტერორისტული ორგანიზაციისთვის არ გამოუცხადებია. ეს სიტუაცია არც „კავკასიის საამიროს“ დაარსებისა და მოძრაობის გლობალურ ჯიჰადში ჩართვის შემდეგ შეცვლილა. მიუხედავად იმისა, რომ დოკუ უმაროვი ისრაელს და აშშ-ს მტრად აცხადებდა, თავისი ორგანიზაციის რესურსებს ძირითადად მაინც რუსეთის წინააღმდეგ მიმართავდა.[48]

„ალ-კაიდასთან“ აფილირებული ყველაზე მაღალი რანგის წარმომადგენელი, რომელსაც გარკვეული კავშირი ჰქონდა ჩეჩნეთთან, „ალ-კაიდას“ ახლანდელი ლიდერი - ალ-ზავაჰირი იყო. ცნობილია, რომ მან 1996 წელს ჩეჩნეთში შეღწევა სცადა, თუმცა რუსეთის სპეცსამსახურებმა ეს ქმედება აღკვეთეს. ალ-კაიდა ცდილობდა ჩრდილოეთ კავკასიის მის საბრძოლო ველად წარმოჩენას.[49] საბოლოო ჯამში, როგორც ჩანს, ჩეჩნეთის წინააღდეგობის მოძრაობის და აქ მებრძოლი უცხოელი მეომრების მხოლოდ მცირე ნაწილი შეიძლება ყოფილიყო რაიმე კავშირში „ალ-კაიდასთან“.[50] როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩეჩნებს არასდროს არ გამოუცხადებიათ ერთგულება ამ ორგანიზაციისთვის, მაშინაც კი, როცა ისინი ფორმალურად გლობალურ ჯიჰადში ჩაერთვნენ.

[47] Moore and Tumelty, “Foreign Fighters and the Case of Chechnya”, 422.
[48] Souleimanov, “The Caucasus Emirate”, 165.
[49] Elena Pokalova, “The North Caucasus: From Mass Mobilization to International Terrorism,” Small Wars & Insurgencies 28, no. 3 (May 4, 2017), 616.
[50] Schaefer, The Insurgency in Chechnya and the North Caucasus, 222.

ჩეჩნები უცხოეთში - ISIS-ის გამოჩენა

უცხოელმა ტერორისტმა მებრძოლებმა ჩეჩნეთში მნიშვნელოვანი ფინანსური და ადამიანური რესურსები, ამასთანავე გამოცდილება შემოიტანეს. ამის მიუხედავად, რთულია იმის თქმა, რომ ტერორისტული პრაქტიკაც ჩეჩნეთში მათ გამოჩენას მოჰყვა. ტყვეების აყვანის შემთხვევები აქ იქამდეც არსებობდა და მისი შემოქმედი ადგილობრივი - შამილ ბასაიევი იყო. არც თვითმკვლელი ტერორისტების გამოჩენა მიეწერება უშუალოდ უცხოელ მეომრებს. შესაძლოა, ამ შემთხვევაში გარკვეული გავლენა ტაქტიკურ ცვლილებაში არსებობდა, თუმცა, საბოლოოდ ეს თავად ჩეჩნების გადაწყვეტილებას წარმოადგენდა, რომელიც მათ ღირსების კოდექსს ეყრდნობოდა.[51]

შესაბამისად, უცხოელ მებრძოლებზე საუბრისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არა ტაქტიკური თუ სტრატეგიული, არამედ იდეოლოგიური გავლენებია. შეიძლება ითქვას, რომ მათი მხრიდან სალაფიზმის და ჯიჰადიზმის ჩეჩნეთში გავრცელებამ მოგვიანებით გლობალური ჯიჰადის სხვა ფრონტებზე ჩეჩენი მებრძოლების გამოჩენას ხელი შეუწყო.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის მიერ ავღანეთში სამხედრო ოპერაციის დაწყების შემდგომ გავრცელდა ინფორმაცია ასობით ჩეჩენი მებრძოლის შესახებ, რომლებიც თალიბანის მხარდასაჭერად ავღანეთში გადავიდნენ. ჟურნალისტებისა და მკვლევარების ძიების შედეგად, ავღანეთში ჩეჩენი მებრძოლების კვალს ვერ მიაგნეს. სინამდვილეში, ჩეჩნები ადრეულ პერიოდში გლობალური ჯიჰადის სხვა ფრონტებზე ნაკლებად ჩნდებოდნენ.

სიტუაცია შეიცვალა 21-ე საუკუნის პირველი დეკადის მიწურულს. მკვლევარი ელენა პოკალოვა ჩეჩნეთის წინააღმდეგობის მოძრაობის თანდათანობითი ტრანსფორმაციის მიზეზებს აღწერს. იგი მიიჩნევს, რომ მეორე ომში აჯანყებულების დამარცხებამ მათი მხრიდან გარკვეული ადაპტირება საჭირო გახადა. ამის ერთ-ერთი მიზეზი რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ზოგიერთ მომენტში სწორად გამიზნული ამნისტიის პოლიტიკა გახდა. ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ამნისტია შამილ ბასაიევის სიკვდილს მოჰყვა.[52] სწორედ ამან გამოიწვია დოკუ უმაროვის მიერ 2007 წელს „კავკასიის საამიროს“ დაარსება. ეს წინააღმდეგობის მოძრაობის შემდგომი ადაპტაციის მცდელობას წარმოადგენდა. გლობალურ ჯიჰადში ჩართვა მიმართული იყო უცხოეთიდან შემოსული დახმარებების ზრდაზე,

[51] Moore and Tumelty, “Foreign Fighters and the Case of Chechnya”, 426.
[52] Pokalova, “The North Caucasus”, 617.

ასევე ადგილობრივ დონეზე ბასაიევის სიკვდილით დამწუხრებული ისლამისტების შემდგომ მობილიზაციაზე.

ადაპტაციის შემდგომი ეტაპი ISIS-ის გამოჩენას უკავშირდება. ამ პერიოდში „კავკასიის საამირო“ ძლიერ დასუსტებული იყო, ტერორისტული თავდასხმების რაოდენობა კი შემცირებული. ამასთან ერთად ჩეჩნეთში სალაფიზმს უკვე მრავალი მიმდევარი ჰყავდა, თუმცა მათი თემი ხელისუფლებისგან დიდ ზეწოლას და ძალადობას ხშირად განიცდიდა. ამასთანავე, „კავკასიის საამირომ“ ერთმანეთის მიყოლებით ლიდერები დაკარგა, ხოლო ISIS-მა ჩრდ. კავკასიაში რეკრუტირების თავისი სტრატეგია შეიმუშავა. ამ პერიოდში ასობით მებრძოლი ჩრდილოეთ კავკასიიდან სირიასა და ერაყში ახალ ფრონტზე საბრძოლველად გაემართა. კავკასიაში დარჩენილმა დაჯგუფებებმა კი ერთგულება ISIS-ს გამოუცხადეს და „კავკასიის ვილაიეთი“ დააარსეს. [53] პირველი ლიდერი, რომელმაც თავი „ისლამური სახელმწიფოს“ წევრად აღიარა, დაღესტანის ვალაიეთის ხელმძღვანელი - რუსტამ ასილდეროვი იყო.[54]

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ISIS-მა კავკასიის ისლამისტურ მოძრაობაზე გავლენა ორი მიმართულებით მოახდინა. ჩეჩენი მებრძოლების სირიასა და ერაყში გამოჩენა წინ უსწრებს „კავკასიის ვილაიეთის“ შექმნას და გარკვეულწილ განაპირობებს კიდეც მას.

სირიაში კონფლიქტის დაწყების პირველივე ეტაპიდან ჩეჩენი მებრძოლები მასში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. ISIS-სა და „ალ-კაიდასთან“ აფილირებულ ჯგუფებს შორის ჩრდილო კავკასიელები უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებდნენ.[55] „ალ-შიშანი“, რაც არაბულად ჩეჩენს ნიშნავს, საპატიო წოდებად ითვლებოდა. თუმცა, ამ მეტსახელით სირიაში რუსულად მოლაპარაკე ბევრი უცხოელი მეომარი მოღვაწეობდა, რომელთა ნაწილი ჩეჩნეთიდან არც ჩამოსულა.[56] თავად „კავკასიის საამიროს“ ხელმძღვანელობა, მათ შორის დოკუ უმაროვი, განცხადებებს ავრცელებდა, რომ ჩრდ. კავკასიაში მიმდინარე ჯიჰადი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე სირიაში არსებული დაპირისპირება. ამის მიზანი მებრძოლების შენარჩუნება იყო. უმაროვის სიკვდილის შემდეგ, მისმა მემკვიდრემ ალიასხამ კებეკოვმა თუმცა აღიარა, რომ სირია ჯიჰადის მნიშვნელოვანი ფრონტი იყო, მაგრამ იქ წასულებს მოუწოდებდა შეერთებოდნენ მხოლოდ „ჯაბჰათ ალ-ნუსრას“ ორგანიზაციას, რომელიც „ალ-კაიდასთან“ იყო აფილირებული. ამასთან

[53] Pokalova, “The North Caucasus”,620-621.
[54] Youngman, “Between Caucasus and Caliphate”,194.
[55] Dasha Nicolson, “Foreign Terrorist Fighters from the North Caucasus: Understanding Islamic State Influence in the Region,” Connections 16, no. 4 (2017), 76.
[56] Moore, “Foreign Bodies”,407.

ერთად, მეომრების ჩრდილოეთ კავკასიაში შენარჩუნების მიზნით, იგივე კებეკოვი აპელირებდა იმაზე, რომ ლეგიტიმურ ავტორიტეტს, ანუ ჯიჰადთან აფილირებულ რელიგიურ მკლევარს, სირიაში საბრძოლველად მოწოდება არ გამოუცხადებია. სწორედ ამავე მიზნით, „კავკასიის საამირო“ დაუპირისპირდა „ისლამურ სახელმწიფოს“ და საბოლოოდ, სირიის კონფლიქტში „ალ-კაიდასა“ და მასთან აფილირებულ „ჯაბჰათ ალ-ნუსრას“ მხარი დაუჭირა.[57]

„ისლამურ სახელმწიფოსა“ და „ჯაბჰათ ალ-ნუსრას“ შორის დაპირისპირება სირიის კონფლიქტში ჩეჩნების მიკუთვნებულობაზეც აისახა. ჩრდილო კავკასიელები ძირითადად თავმოყრილი იყვნენ დაჯგუფებაში „ჯაიშ ალ-მუჰაჯირინ ვა ალ-ანსარ“. განთქმული ომარ ალ-შიშანი, რომელიც სირიაში არა ჩეჩნეთიდან, არამედ პანკისის ხეობიდან გადავიდა, თავდაპირველად სწორედ ამ დაჯგუფების წარმომადგენელი იყო.[58]

ჩრდილო კავკასიელების მეორე მნიშვნელოვანი დაჯგუფება „ჯუნუდ ალ-შამია“. მისი ლიდერი ასევე პანკისში დაბადებული ქისტი-ჩეჩენი - აბუ ვალიდ ალ-შიშანი იყო. 2000-2003 წლებში იგი ჩრდილო კავკასიაში ჩეჩენ და არაბ მებრძოლებს აქტიურად ეხმარებოდა.[59]

ეს ორივე ორგანიზაცია თავდაპირველად სოციალურ ფუნქციას ასრულებდა, ადგილობრივ მოსახლეობაში საკვებს ანაწილებდა და ლოკალური დავების გადაჭრაში მონაწილეობდა.[60]

„ისლამური სახელმწიფოს“ გამძლავრების პარალელურად, „ჯაიშ ალ-მუჰაჯირინ ვა ალ-ანსარ“-ს ომარ ალ-შიშანი გამოეყო და ერთგულება ISIS-ის ლიდერს - ალ-ბაღდადის გამოუცხადა. ეს გაყოფა 2013 წელს მოხდა და როგორც ცნობილია, ბევრი რუსულად მოლაპარაკე ჯიჰადისტი ომარ ალ-შიშანის გაჰყვა. 2013-2017 წლებში ჩრდილო კავკასიელი ჯიჰადისტების სხვადასხვა დაჯგუფებები ჩნდებოდა და ქრებოდა. ზოგიერთი მათგანი „კავკასიის საამიროსთან“ იყო აფილირებული, ზოგი კი დამოუკიდებლობას იჩემებდა. საბოლოო ჯამში, ისინი ორ ძირითად ბანაკად გაიყვნენ - ომარ ალ-შიშანის მხარდამჭერები, რომლებიც „ისლამური სახელმწიფოს“ ნაწილად იქცნენ და „ჯაიშ ალ-მუჰაჯირინ ვა ალ-ანსარის“ წევრები,

[57] Mark Youngman, “Between Caucasus and Caliphate: The Splintering of the North Caucasus Insurgency,” Caucasus Survey 4, no. 3 (September 1, 2016): 200-202.
[58] Nicolson, “Foreign Terrorist Fighters from the North Caucasus”,78-79.
[59] Moore, “Foreign Bodies”, 409.
[60] Ibid.

რომელიც დიდი გაერთიანება „ჰაიათუ თაჰრირი ალ-შამის“(ყოფილი ჯაბჰათ ალ-ნუსრას) ნაწილი იყო.[61]

ჩრდილო კავკასიელ მებრძოლებს კარგი მეომრის სტატუსი აქვთ. სირიის კონფლიქტში ისინი ორივე მხარეს ერთგვარ ელიტურ დაჯგუფებას წარმოადგენდნენ. არაერთი ჩეჩენი კი, ტერორისტული ორგანიზაციების იერარქიულ სტრუქტურაში საკმაოდ მაღალ პოზიციებსაც იკავებდა.[62]

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განცხადებით, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან სირიაში საბრძოლველად 5000-7000 მებრძოლი გადავიდა.[63] სხვადასხვა ვარაუდით, ჯამში ეს რიცხვი 30 000-მდეც კი ადის, ამათგან დაახლოებით 10 000 რუსეთში მცხოვრები მუსლიმი იყო, რომელთა უმრავლესობა სწორედ ჩრდილოეთ კავკასიიდან გახლდათ.[64]

ამის მიზეზი კავკასიის წინააღმდეგობის მოძრაობის არსებულ რეალობასთან ადაპტაციის შემდგომი ეტაპი იყო. „კავკასიის საამირო“ ამ პერიოდისთვის უკვე ძლიერ დასუსტებული იყო, თუმცა რუსეთის წინააღმდეგ ბრაზი მოსახლეობაში არ გამქრალა. ამასთან ერთად, სწორედ ჩეჩნეთში მოღვაწე უცხოელი ტერორისტი მეომრებისა და მქადაგებლების წყალობით, სალაფიზმსა და ჯიჰადიზმს აქ ბევრი მიმდევარი ჰყავდა. თავად წინააღმდეგობის მოძრაობაც ფორმალურად ჩართული იყო გლობალურ ჯიჰადში. ეს ყველაფერი ISIS-ის წარმატებული პროპაგანდისთვის კარგ საფუძველს ქმნიდა.

„ისლამური სახელმწიფო“ მედია საშუალებებს ჩრდილოეთ კავკასიაში ჯიჰადისტთა რეკრუტირებისთვის იყენებდა. ანნა სეიბმა გააანალიზა ამ ორგანიზაციის ტაქტიკა და დაადგინა, რომ იგი სამ ძირითად ჩარჩოს იყენებდა. პირველი მათგანი - დიაგნოსტიკურია, რომლის მიხედვითაც მუსლიმები რუსეთში და დანარჩენ მსოფლიოში ჩაგვრას განიცდიან; მეორე - პროგნოსტიკული, რაც ამ შემთხვევაში ჯიჰადისტურ მოწოდებას გულისხმობს. პრობლემის გადაჭრის გზა - ჯიჰადია. მესამე - სამოტივაციო - აქ „ისლამური სახელმწიფო“ აპელირებდა, ერთი მხრივ, მოვალეობაზე - ყველა მუსლიმს აქვს ინდივიდუალური ვალდებულება

[61] Nicolson, “Foreign Terrorist Fighters from the North Caucasus”,78-81.
[62] Anna Seib, “Wilayat Al-Qawkaz - The Islamic State in the North Caucasus. Frames, Strategies and Credibility of Radical Islamist Propaganda Videos,” Journal for Deradicalization 0, no. 15 (June 27, 2018), 159.
[63] Nicolson, “Foreign Terrorist Fighters from the North Caucasus”,70.
[64] “ISIS in the North Caucasus,” Newlines Institute, October 26, 2020, https://newlinesinstitute.org/isis/isis-in-the-north-caucasus/.

ჩაერთოს „უმმას“ გადარჩენის პროცესში და, მეორე მხრივ, ჯილდოზე - ის სარგებელი, რასაც ISIS თავის წევრებს ჰპირდებოდა.[65]

აღსანიშნავია, რომ სწორედ მეოცე საუკუნის 90-იან წლებში აქ ჩამოსული უცხოელების წყალობით, ეს იდეოლოგიური ჩარჩოები რადიკალი ჩეჩნებისთვის უკვე ცნობილი იყო. „ისლამურ სახელმწიფოს“ მხოლოდ ამ ნარატივების მომართვა სჭირდებოდა ისე, რომ ჩეჩენი მეომრები სირიაში ჩამოსვლის მნიშვნელობაში დაერწმუნებინა.

ამას ემატება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ბაშარ ალ-ასადის რეჟიმი რუსეთის ახლო მოკავშირეა, შესაბამისად, მის წინააღმდეგ ბრძოლა, რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლასაც გულისხმობს. რადგანაც უშუალოდ ჩრდილო კავკასიაში ჯიჰადისტები დასუსტებულნი იყვნენ, სირიაში რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ახალი ფრონტი გამოჩნდა, რაც აქ წასვლისთვის დამატებითი მოტივაცია უნდა ყოფილიყო.[66] ამ მოტივაციას ადასტურებს ერთ-ერთი მებრძოლის(ქართველი ჩეჩენის) - აბდურრაჰმან ალ-შიშანის ინტერვიუ, რომელშიც იგი ამბობს: „ჩვენ ყოველთვის ვიბრძოდით ასადის წინააღმდეგ, რაც ჩვენთვის იგივეა, რაც რუსეთი“.[67]

ჩრდ.კავკასიურ რადიკალურ წრეებში „ისლამური სახელმწიფოს“ პოპულარობის ზრდა შესაძლოა ამ უკანასკნელის მიერ რუსეთზე ჯიჰადის გამოცხადებასა და მის წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მოწყობას უკავშირდებოდეს. მსგავსი რამ „ალ-კაიდას“ არ განუხორციელებია.[68]

სირიის ფრონტზე ჩეჩნების გამოჩენამ და სხვადასხვა ბანაკში გადაჯგუფებამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, გავლენა უშუალოდ ჩრდილო კავკასიაში არსებულ დაჯგუფებებზეც იქონია.

„კავკასიის საამიროს“ ხელმძღვანელობა ცდილობდა ჩრდილოეთ კავკასიაში „ისლამური სახელმწიფოს“ მზარდ გავლენებს დაპირისპირებოდა. ამისათვის ისინი ლეგიტიმური ავტორიტეტის არარსებობის არგუმენტს იყენებდნენ. კებეკოვი და მისი თანამოაზრეები ხალიფას სტატუსზე ალ-ბაღდადის პრეტენზიას არ იზიარებდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ იგი ხალიფად არცერთ რელიგიურ

[65] Seib, “Wilayat Al-Qawkaz - The Islamic State in the North Caucasus. Frames, Strategies and Credibility of Radical Islamist Propaganda Videos”.
[66] Nicolson, “Foreign Terrorist Fighters from the North Caucasus”,72-74.
[67] “‘We will turn Russia’s time in Syria into another Grozny!’ - An exclusive interview with Abdurahman Al-Shishani,” GeorgianJournal, accessed September 19, 2021, https://georgianjournal.ge/military/31621-we-will-turn-russias-time-in-syria-into-another-grozny-an-exclusive-interview-with-abdurahman-al-shishani.html.
[68] Pokalova, “The North Caucasus”, 622.

ავტორიტეტს არ უღიარებია, ხოლო მისი ქმედებები მუსლიმთა ერთიანობას ძირს უთხრიდა. კებეკოვს რელიგიური განათლება ჰქონდა და მისი არგუმენტაცია მეტწილად გამართული იყო.[69]

ამის მიუხედავად, ISIS-ის მომხრე დაჯგუფებების ხელმძღვანელები თავიანთ არგუმენტაციას არა რაციონალურ-ლოგიკურ მსჯელობაზე(რამდენადაც ეს ტერმინები შეგვიძლია ტერორიზმთან მიმართებაში გამოვიყენოთ), არამედ ემოციურ მხარეზე აგებდნენ. ისინი ხაზს უსვამდნენ სახალიფოს დაარსების მნიშვნელობას და აპელირებდნენ მის ისტორიული მისიაზე - გაეერთიანებინა ყველა მუსლიმი.[70]

რუსეთის სპეც-სამსახურებმა კებეკოვი და მისი მემკვიდრე სულეიმანოვი მალევე გაანეიტრალეს, რის შემდეგაც, ადგილობრივ დონეზე აღარ დარჩა „კავკასიის საამიროს“ გამოცდილი ლიდერი, რომელიც „ისლამური სახელმწიფოს“ გავლენებთან დაპირისპირებას შეძლებდა. უფრო მეტიც, ისლამურ სახელმწიფოსთან აფილირება და მათგან რესურსების მოძიება აქ არსებული ჯიჰადისტური მოძრაობის გადარჩენის ერთადერთ ვარიანტად იქცა. 2015 წელს „ისლამურმა სახელმწიფომ“ „კავკასიის ვილაიეთის“ დაარსება გამოაცხადა და ჩრდილოეთ კავკასიაში რეკრუტირების კამპანია კიდევ უფრო გაამძაფრა.[71]

„ისლამურ სახელმწიფოსთან“ გაერთიანებამ და „კავკასიის ვილაიეთის“ შექმნამ ჩრდილო კავკასიის ჯიჰადისტებს განსაკუთრებული წარმატება ვერ მოუტანა. მათ მასშტაბური ტერორისტული თავდასხმები ვერ განახორციელეს. ამის მიუხედავად, მცირე მასშტაბის ტერორისტული აქტები მაინც ხშირია. აღსანიშნია, რომ ISIS-მა რუსეთის სხვა რეგიონებში თავდასხმები განახორციელა.[72]

---

[69] Youngman, “Between Caucasus and Caliphate”, 205-207
[70] Youngman, “Between Caucasus and Caliphate”, 203-204.
[71] Pokalova, “The North Caucasus”, 621-622.
[72] “ISIS in the North Caucasus,” Newlines Institute, October 26, 2020, https://newlinesinstitute.org/isis/isis-in-the-north-caucasus/.

ტერორიზმი ჩრდილოეთ კავკასიაში და საქართველო

ჩეჩნეთი და ჩრდილოეთ კავკასია საქართველოს უშუალო მეზობელია, შესაბამისად, ბუნებრივია, რომ იქ მიმდინარე ნებისმიერი პროცესი გარკვეულ გავლენას საქართველოზეც მოახდენდა.

ამ კუთხით განსაკუთრებით მტკივნეული და პრობლემური პანკისის ხეობა იყო. ჩეჩნეთის მეორე ომის შემდეგ, პანკისის ხეობა ლტოლვითა ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავშესაფრად იქცა, სადაც ცენტრალურ ხელისუფლებას კონტროლის ეფექტური საშუალებები არ ჰქონდა. ეს ლტოლვილთა ბანაკები კი ფუნდამენტალისტური და რადიკალური იდეოლოგიის გავრცელებისა და ტერორისტული ორგანიზაციების რეკრუტირების წყაროდ ტრანსფორმირდა.[73] აღსანიშნავია, რომ 2002 წელს იბნ ხატაბმა ჩეჩნეთში „ალ-კაიდას“ 60-მდე მებრძოლი არ შეუშვა. შემდგომში ისინი სწორედ პანკისის ხეობას შეეფარნენ.[74]

9/11-ის შემდეგ აშშ-ის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის პირველი ოპერაცია ავღანეთში კი არა, სწორედ პანკისში განხორციელდა. 2002 წელს აშშ-ის სპეციალური სამსახურის წარმომადგენლებმა, საქართველოს სპეც. სამსახურებთან ერთად პანკისის ხეობაში კონტრტერორისტული ოპერაცია ჩაატარეს, რის შედეგადაც ხეობა რადიკალური ელემენტებისგან გაწმინდეს და აქ ცენტრალური ხელისუფლების კონტროლი აღადგინეს.[75]

სირიასა და ერაყში კონფლიქტის გაღვივების პარალელურად, ტერორიზმის საკითხი საქართველოსთვის კვლავ აქტუალური გახდა. 2019 წლის საქართველოს ტერორიზმთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის მიხედვით, ახლო აღმოსავლეთში მიმავალი საერთაშორისო ტერორისტების მიერ საქართველოს სატრანზიტო ქვეყნად გამოყენების შემთხვევები არსებობს და სამომავლო საფრთხეც რეალურია. ამავე დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია როგორც „ისლამურ სახელმწიფოზე“, ისე „ალ-კაიდაზე“.[76]

აღსანიშნავია ისიც, რომ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესების პარალელურად, ჯიჰადს პანკისის ხეობიდან არაერთი საქართველოს მოქალაქე შეუერთდა. პანკისში მცხოვრები ქისტები თავიანთ თავს ჩეჩნური იდენტობის მატარებლად მიიჩნევენ. შესაბამისად, ჩეჩნეთის ომთან დაკავშირებულ

[73] Moore, “Foreign Bodies”, 407.
[74] Moore and Tumelty, “Foreign Fighters and the Case of Chechnya”, 422.
[75] Schaefer, The Insurgency in Chechnya and the North Caucasus, 2.
[76] საქართველოს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია.

ტკივილებსაც იზიარებენ. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მათ საქართველოსადმი განსაკუთრებული მიკუთვნებულობა აქვთ ჩამოყალიბებული.[77] ამის მაგალითია თუნდაც სირიაში საბრძოლველად წასული მუსლიმ ალ-შიშანის (მურად მარგოშვილის) ინტერვიუ, რომელშიც 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომში ქისტების აქტიურობას იხსენებს.[78]

ელენა პოკალოვა და თინათინ ქაროსანიძე თავიანთ სტატიაში ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ სწორედ ჩეჩნეთის კონფლიქტისას არაბი უცხოელი ტერორისტი მებრძოლების აქტიურმა მიმოსვლამ, მათმა ინტერაქციამ ადგილობრივებთან და საკუთარი ფუნდამენტალისტური იდეოლოგიის ძალადობრივი ნარატივების გავრცელებამ სირიის ფრონტზე პანკისელი ქისტების გლობალურ ჯიჰადში ჩართვას ხელი შეუწყო.[79]

პანკისიდან წასული ქისტების დიდი ნაწილი ასევე ალ-შიშანის მეტსახელს ატარებდა და სხვადასხვა ტერორისტული ორგანიზაციების შიგნით მნიშვნელოვან პოზიციებს იკავებდა.[80] საქართველოდან ერაყსა და სირიაში არა მხოლოდ მამაკაცები მიემგზავრებოდნენ, არამედ ქალებიც, რომელთა ძირითადი მიზანიც იქ დაოჯახება იყო. თავდაპირველ ეტაპზე, საქართველოდან წასული ტერორისტები სირიასა და ერაყში „კავკასიის საამიროსთან“ აფილირებულ ორგანიზაციებში ერთიანდებოდნენ. მოგვიანებით მათმა ნაწილმა „ისლამურ სახელმწიფოსთან“ გაერთიანება არჩია.[81] აღსანიშნია, რომ მათი გარადიკალება სავარაუდოდ ჩეჩნეთიდან ომების პერიოდში გადმოსულ ფუნდამენტალისტურ იდეოლოგიას უკავშირდება. ადგილობრივები ასევე ხაზს უსვამენ რეგიონის მიმართ სახელმწიფოს არაინკლუზიურ პოლიტიკას. მათი თქმით, პანკისის ხეობისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება უსაფრთხოების პარადიგმაზე გადის, რაც ნდობის პრობლემებს იწვევს.[82]

საქართველოსთვის ასევე პრობლემურია ერაყიდან და სირიიდან უკან დაბრუნებული ჩეჩენი მებრძოლების საკითხი, რომლებიც საქართველოს

---

[77] Elena Pokalova and Tinatin Karosanidze, “Neighbouring an Insurgency: The Case of Radicalization in Georgia,” Central Asian Survey 40 (October 12, 2020): 1–15, https://doi.org/10.1080/02634937.2020.1825287.
[78] “Georgia is our homeland – Exclusive interview with Muslim al-Shishani a.k.a Murad Margoshvili,” GeorgianJournal, accessed September 19, 2021, https://georgianjournal.ge/politics/35590-georgia-is-our-homeland-exclusive-interview-with-muslim-al-shishani-aka-murad-margoshvili.html.
[79] Pokalova and Karosanidze, “Neighbouring an Insurgency”, 12-13.
[80] Elena Pokalova, “Georgia, Terrorism, and Foreign Fighters,” Special Operations Journal 4, no. 2 (July 3, 2018): 146–68,
[81] Ibid.
[82] “პანკისი სპეცოპერაციის შემდეგ-რეპრესიული პოლიტიკის სოციალური და ემოციური შედეგები,” accessed September 18, 2021, https://socialjustice.org.ge/ka/products/pankisi-spetsoperatsiis-shemdeg-represiuli-politikis-sotsialuri-da-emotsiuri-shedegebi.

სატრანზიტო ქვეყნად იყენებენ. ამის ნათელი მაგალითი ახმად ჩატაევის შემთხვევა იყო, რომელიც 2017 წელს საქართველოში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაიღუპა. ჩატაევი ჩეჩნეთის ომის ვეტერანი გახლდათ, რომელიც შემდგომ ISIS-ის რიგებში იბრძოდა.[83]

ტერორიზმის კუთხით საქართველოში სიტუაცია სრულიად მოგვარებული რომ არ არის, 2021 წლის 24 აგვისტოს პანკისში განხორციელებული კონტრტერორისტული ოპერაციიდანაც ჩანს.[84]

განსაკუთრებით საფრთხის შემცველი საქართველოში ტერორიზმის შეთხვევების, თუნდაც მათი მხრიდან ქვეყნის სატრანზიტო მიზნით გამოყენების, რუსეთის მიერ ანტი-ქართული პროპაგანდისა და შესაძლო მტრული ქმედებების გასამართლებლად გამოყენებაა.

[83] United Nations High Commissioner for Refugees, "Refworld | A One-Armed IS Warlord and the Problem of Militant Returnees in Georgia," Refworld, accessed September 5, 2021, https://www.refworld.org/docid/5b728cb46.html.
[84] "State Security Service: Five Detained on Terrorism Charges in Pankisi Were Members of IS," Agenda.ge, accessed September 5, 2021, https://agenda.ge/en/news/2021/2419.

დასკვნა

ტერორიზმი ჩრდილოეთ კავკასიაში კომპლექსური და მრავალშრიანი საკითხია. ის, რაც თავდაპირველად ლოკალურად მიმართული სეპარატისტული მოძრაობა იყო, თანდათანობით ჯიჰადისტურ მოძრაობად იქცა.

ამ პროცესში განსაკუთრებით დიდი როლი უცხოელმა ტერორისტმა მებრძოლებმა ითამაშეს. მათ ჩეჩნეთში შემოიტანეს და პოპულარიზაცია გაუწიეს ფუნდამენტალისტურ სალაფიტურ/ვაჰაბიტურ იდეოლოგიას და გლობალურ ჯიჰადს.

უცხოელი მეომრების მნიშვნელოვანი საგარეო კავშირების ქონის, ფინანსური რესურსებისა და ისლამის ადგილობრივ რელიგიურ ელიტაზე უკეთ ცოდნის შედეგად, ფუნდამენტალისტურმა იდეოლოგიამ ჩეჩნეთში და ზოგადად ჩრდილოეთ კავკასიაში ადგილი მალევე დაიმკვიდრა. რუსეთის აგრესიულმა ქმედებებმა კი ტერორიზმისკენ არაერთ ადამიანს უბიძგა.

ცხადია, დოკუ უმაროვის მიერ წინააღმდეგობის მოძრაობის გლობალურ ჯიჰადში ჩართვა მხოლოდ რელიგიური ხედვებით არ ყოფილა მოტივირებული. ეს ნაბიჯი ასევე განიხილებოდა როგორც აჯანყების გადარჩენის და შემდგომი მომძლავრების გზად. თუმცა ეს ალტერნატივა გაჩნდა სწორედ იმიტომ, რომ უცხოელმა ტერორისტმა მეომრებმა, ასევე უცხოელმა მქადაგებლებმა ადგილობრივ მოსახლეობაში ფუნდამენტალისტური იდეოლოგიის გავრცელება წარმატებით მოახერხეს.

საბოლოო ჯამში, „კავკასიის საამიროს“ დასუსტების პარალელურად, სწორედ ამ იდეოლოგიის გავრცელებამ ISIS-ისთვის ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა, რათა ჩრდილოეთ კავკასია რეკრუტირების მნიშვნელოვან წყაროდ ექციათ. მართლაც, თუკი იქამდე ჩეჩენი მებრძოლები გლობალური ჯიჰადის სხვა ფრონტებზე მონაწილეობას არ იღებდნენ, სირიისა და ერაყის მიმდინარე კონფლიქტში ათასობით ჩეჩენი მეომარი გამოჩნდა, რომელმაც ტერორისტული ორგანიზაციების იერარქიაში მნიშვნელოვანი პოზიციებიც დაიკავა.

ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ მეოცე საუკუნის 90-იან წლებში უცხოელი ტერორისტი მებრძოლების ჩეჩნეთში მოქმედებებსა, მათ მიერ წინააღმდეგობის მოძრაობაზე განხორციელებულ გავლენასა და მოგვიანებით, თავად ჩეჩნების უცხო მიწაზე ტერორისტებად ქცევას შორის კავშირი უნდა არსებობდეს. ასევე, არ უნდა დავივიწყოთ სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებიც, რამაც ჩეჩნებს უცხო მიწაზე ბრძოლისკენ უბიძგა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბაშარ ალ-ასადისა და

რუსეთის კავშირი, რის შედეგადაც სირიაში ბრძოლა, რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლადაც შეირაცხა.

მიუხედავად ამ და სხვა მატერიალური მიზეზების არსებობისა, ცხადია, რომ იდეოლოგიამ და ადგილობრივი წინააღმდეგობის მოძრაობის გლობალური ჯიჰადისკენ თანდათანობით სვლამ შესაბამისი პირობები შექმნა იმისთვის, რათა ჩეჩნებს საკუთარი ბრძოლის ველი მიეტოვებინათ და სხვა ტერიტორიაზე მიმდინარე ჯიჰადში ჩაბმულიყვნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

- Akhmadov, Yavus, Stephen R Bowers, and Marion T Doss. "Islam in the North Caucasus: A People Divided" 2000 (2000): 33.
- "Dagestan's Insurgents Split over Loyalties to Caucasus Emirate and IS." Accessed July 8, 2021. https://www.cacianalyst.org/publications/analytical-articles/item/13177-dagestanâ€™s-insurgents-split-over-loyalties-to-caucasus-emirate-and-is.html.
- GeorgianJournal. "Georgia is our homeland – Exclusive interview with Muslim al-Shishani a.k.a Murad Margoshvili." Accessed September 19, 2021. https://georgianjournal.ge/politics/35590-georgia-is-our-homeland-exclusive-interview-with-muslim-al-shishani-aka-murad-margoshvili.html.
- Hahn, Gordon M. "The Jihadi Insurgency and the Russian Counterinsurgency in the North Caucasus." Post-Soviet Affairs 24, no. 1 (January 1, 2008): 1–39. https://doi.org/10.2747/1060-586X.24.1.1.
- Hegghammer, Thomas. "The Rise of Muslim Foreign Fighters: Islam and the Globalization of Jihad." International Security 35, no. 3 (December 1, 2010): 53–94. https://doi.org/10.1162/ISEC_a_00023.
- Newlines Institute. "ISIS in the North Caucasus," October 26, 2020. https://newlinesinstitute.org/isis/isis-in-the-north-caucasus/.
- Kroupenev, Artem. "Radical Islam in Chechnya." SSRN Scholarly Paper. Rochester, NY: Social Science Research Network, January 23, 2009. https://papers.ssrn.com/abstract=1333154.
- Moore, Cerwyn. "Foreign Bodies: Transnational Activism, the Insurgency in the North Caucasus and 'Beyond.'" Terrorism and Political Violence 27, no. 3 (May 27, 2015): 395–415. https://doi.org/10.1080/09546553.2015.1032035.
- Moore, Cerwyn, and Paul Tumelty. "Foreign Fighters and the Case of Chechnya: A Critical Assessment." Studies in Conflict & Terrorism 31, no. 5 (April 11, 2008): 412–33. https://doi.org/10.1080/10576100801993347.
- Nicolson, Dasha. "Foreign Terrorist Fighters from the North Caucasus: Understanding Islamic State Influence in the Region." Connections 16, no. 4 (2017): 69–88.
- Nodia, Ghia. "What Is Georgia's Strategy In The North Caucasus?" Radio Free Europe/Radio Liberty, 11:34:19Z, sec. Commentary. https://www.rferl.org/a/What_Is_Georgias_Strategy_In_The_North_Caucasus/2208382.html.
- Pokalova, Elena. "Georgia, Terrorism, and Foreign Fighters." Special Operations Journal 4, no. 2 (July 3, 2018): 146–68. https://doi.org/10.1080/23296151.2018.1510707.
- ———. "The North Caucasus: From Mass Mobilization to International Terrorism." Small Wars & Insurgencies 28, no. 3 (May 4, 2017): 609–28. https://doi.org/10.1080/09592318.2017.1307615.
- Pokalova, Elena, and Tinatin Karosanidze. "Neighbouring an Insurgency: The Case of Radicalization in Georgia." Central Asian Survey 40 (October 12, 2020): 1–15. https://doi.org/10.1080/02634937.2020.1825287.
- Refugees, United Nations High Commissioner for. "Refworld | A One-Armed IS Warlord and the Problem of Militant Returnees in Georgia." Refworld. Accessed September 5, 2021. https://www.refworld.org/docid/5b728cb46.html.
- Sagramoso, Domitilla. "The Radicalisation of Islamic Salafi Jamaats in the North Caucasus: Moving Closer to the Global Jihadist Movement?" Europe-Asia Studies 64, no. 3 (May 1, 2012): 561–95. https://doi.org/10.1080/09668136.2012.661933.
- Schaefer, Robert W. The Insurgency in Chechnya and the North Caucasus: From Gazavat to Jihad. ABC-CLIO, 2010.

- Seib, Anna. “Wilayat Al-Qawkaz - The Islamic State in the North Caucasus. Frames, Strategies and Credibility of Radical Islamist Propaganda Videos.” Journal for Deradicalization 0, no. 15 (June 27, 2018): 151–96.
- Shinar, Chaim. “Chechens: Freedom Fighters or Terrorists?” European Review 27, no. 1 (February 2019): 131–42. https://doi.org/10.1017/S1062798718000625.
- SOKIRIANSKAIA, EKATERINA. “Ideology and Conflict: Chechen Political Nationalism Prior to, and during, Ten Years of War.” In Ethno-Nationalism, Islam and the State in the Caucasus. Routledge, 2007.
- Souleimanov, Emil. “Chechnya, Wahhabism and The Invasion of Dagestan” 9, no. 4 (2005): 24.
- ———. “The Caucasus Emirate: Genealogy of an Islamist Insurgency.” Middle East Policy 18, no. 4 (December 2011): 155–68. https://doi.org/10.1111/j.1475-4967.2011.00517.x.
- Agenda.ge. “State Security Service: Five Detained on Terrorism Charges in Pankisi Were Members of IS.” Accessed September 5, 2021. https://agenda.ge/en/news/2021/2419.
- GeorgianJournal. “‘We will turn Russia’s time in Syria into another Grozny!’ - An exclusive interview with Abdurahman Al-Shishani.” Accessed September 19, 2021. https://georgianjournal.ge/military/31621-we-will-turn-russias-time-in-syria-into-another-grozny-an-exclusive-interview-with-abdurahman-al-shishani.html.
- WILLIAMS, BRIAN GLYN. “Allah’s Foot Soldiers: An Assessment of the Role of Foreign Fighters and Al-Qa‘ida in the Chechen Insurgency.” In Ethno-Nationalism, Islam and the State in the Caucasus. Routledge, 2007.
- Yemelianova, Galina M. “Sufism and Politics in the North Caucasus.” Nationalities Papers 29, no. 4 (December 2001): 661–88. https://doi.org/10.1080/00905990120102138.
- Youngman, Mark. “Between Caucasus and Caliphate: The Splintering of the North Caucasus Insurgency.” Caucasus Survey 4, no. 3 (September 1, 2016): 194–217. https://doi.org/10.1080/23761199.2016.1215055.
- “პანკისი სპეცოპერაციის შემდეგ-რეპრესიული პოლიტიკის სოციალური და ემოციური შედეგები.” Accessed September 18, 2021. https://socialjustice.org.ge/ka/products/pankisi-spetsoperatsiis-shemdeg-represiuli-politikis-sotsialuri-da-emotsiuri-shedegebi.
- რადიო თავისუფლება. “სუს-ის თანახმად, პანკისში დაკავებულები „ისლამურ სახელმწიფოში“ გაწევრიანდნენ და სირიაში გამგზავრებას გეგმავდნენ.” Accessed September 18, 2021. https://www.radiotavisupleba.ge/a/31425780.html.